ᲝᲠᲝ

№ 3

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

დრამატიულ საზოგადოების საქმეები—***; ტრაგიკული „ინოროდცების“ შესახებ—***; მთ. ეპ. ინოკენტის დეპეშა—*** ლამაზო!—**ი. გრიშაშვილისა**; შეშლილი გი დე მოპასანისა—**ვ. ღ—ძე**; ***—**ი. მჭედლიშვილისა**; ბ-ნ ივანე ჯავახიშვილის ლექცია—B; სიტყვა და საქმე—**კ. მაყაშვილისა**; მთა, ინტელიგენტიის სამსჯავროს წინაშე—**ალბანელისა**; მაშიკო—**ვალ. შალიკაშვილისა**; მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან—**იპ. ვართაგავასი.**

კვირა, 21 თებერვალი — საპოლიტიკო, სამეცნ. და სალიტ. ჟურნალი — 1910 წ.

დრამატიულ საზოგადოების საქმეები

ჩვენს სცენას ათასი გაჭირვება უნახავს, ათასჯერ განსაცდელში ჩავარდნილა და მაინც გამოცოცხლებულა და განუგრძვია თავისი მოქმედება. ამიტომაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეხლაც დაბრკოლებას დასძლევს და გამარჯვებული გამოვა. მაგრამ არ შეგვიძლია საზოგადოების ყურადღება არ მივაქციოთ ერთს მეტად სამწუხარო მოვლენას, რომლის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა აუცილებლივ საჭიროა. ჩვენში, შეგვიძლია ვსთქვათ, სენად გადაიქცა საზოგადოების აბუჩად აგდება. რამდენი სამრეწველო, სავაჭრო თუ განმანათლებელი საზოგადოება დაბადებულა ჩვენში, რომელთაც სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ უხეირნიათ. და განსაკუთრებით კი მათი მოსპობის თუ დაღუპვის მიზეზი ყოფილა გამგე პირების დაუდევრობა. თქვენ სიხარულით გაიღებთ თქვენ წვლილს საზოგადოების დასაარსებლად, მიანდობთ საქმეს ამა თუ იმ პირს, შემდეგ გადის ერთი, ორი, ხშირად ათი წელიწადიც და ანგარიშს კი ვერ ეღირსებით. თქვენ მიერვე არჩეულნი პირნი, ჩადგებიან თუ არა საქმის სათავეში, მერე აღარც კი შემოგხედავენ, პასუხსაც არ იძლევიან. ხშირად საზოგადოება თუ ამხანაგობა ისე ჰქრება, რომ მის ამბავს თქვენ ვერც გაიგებთ. ეს კიდევ არაფერი. ამ ამხანაგობათა და საზოგადოებათა ხელმძღვანელნი არხეინად გრძნობენ თავს და საზოგადოებაც თითქო მათ არც ამტყუნებს. ასეთი მოვლენა მეტად გახშირდა ჩვენში. ნურავინ იტყვის, რომ ეს მოვლენა რომელიმე ჯგუფის სენი იყოს. ეს საერთო ჩვენი სენია და მას ეჭირვება აუცილებლივ განკურნება. ყოველ უწინარეს საზოგადოებამ ზომები უნდა მიიღოს, რომ იმ პირთ, რომელთაც პირნათლად არ შეუსრულებიათ თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე, არ მიუციათ საზოგადოებისთვის ანგარიში თვითეულ გროშისა, შემდეგში საზოგადოებაში ადგილი აღარ ჰქონდეთ. საზოგადოების წინაშე ანგარიშისარ გაწევა უნდა უდრიდეს გალაღებულ მომქმედ პირის საზოგადოებრივ სიკვდილს. ჩვენ სამწუხაროდ სულ სხვას ვხედავთ. არც პასუხის-მგებლობა, არც სასჯელი, არც საზოვადოებრივი განაჩენი. ამიტომაც ჩვენში ადვილად ბუდობს ყოველივე ბოროტ-მოქმედება და ამ გარემოებამ ისე გაუტეხა ხალხს გული, რომ დღეს შეუძლებელი გახდა ჩვენში რაიმე სამრეწველო თუ სავაჭრო ამხანაგობის დაარსება. სად არის გურიის ამხანაგობა „შუამავალი“, რომელსაც ჩვენთვის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა? ვის მისცეს პასუხი მისმა ხელმძღვანელებმა? სად არის მაჩხაანის დეპო? რა მდგომარეობაშია დაარსებიდანვე „ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის“ საქმეები? რას გვეუბნება სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „გეორგია“? განა ჩამოთვლა შეიძლება? აკი მოგახსენეთ, პირდაპირ რაღაც მატლი გაუჩნდა ჩვენს საზოგადოებას, რომელიც კერძო პირებს საშუალებას აძლევს გვერდი აუხვიონ რაიმე პასუხისმგებლობას და არხეინად იყვნენ.

ამიტომაც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კიდევ უფრო არ გაძლიერდეს ეს სენი ჩვენში, ვალდებულნი ვართ კრიჭაში ჩაუდგეთ ყველა იმ პირთ, რომელნიც ამა თუ იმ საზოგადოებრივ დაწესებულების ხელმძღვანელობას კისრულობენ და ყოველგვარი პასუხის-მგებლობა მოვსთხოვოთ მათ. ვინც საზოგადოების მოთხოვნას ანგარიშს არ გაუწევს, ის ჩვენი ცხოვრებიდან გარიყულად უნდა ჩაითვალოს.

დრამატიულ საზოგადოების კრებამ ცხადად დაგვანახვა, რომ ანგარიშები გამგეობას წესიერად ნაწარმოები არა აქვს, არც სარევიზიო კომისიას აუსრულებია თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე. ეს სამწუხარო მოვლენა მეტად შემაფერხებელია საზოგადოების არსებობისათვის. ის უნებლიედ უტეხს სახელს ამ სიმპატიურ დაწესებულებას და ისეთ მითქმა-მოთქმას იწვევს, რაც სრულიად სასურველი არ არის. ამიტომაც ჩვენ დაბეჯითებით მოვსთხოვთ ძველ გამგეობის წევრთ ყოველი ღონე

ილონონ და საზოგადოებას დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინონ. ამას მოითხოვს მთელი ხალხის ინტერესი, ამას მოითხოვს თვით ამ საზოგადოების ინტერესი, რომელსაც ისინი ამ სამს წელიწადს ემსახურებოდენ.

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲘ „ᲘᲜᲝᲠᲝᲓᲪᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„რეჩისა“ და რუსეთის სხვა გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნია გუბერნატორებისათვის:

„1906 წელს 4 მარტს უმაღლესად დამტკიცებულ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ დროებით კანონის გამოქვეყნების შემდეგ, რუსეთში მცხოვრებ სხვა და სხვა ერთა შორის თავი იჩინა განსაკუთრებულმა კულტურულ-განმანათლებელმა მოძრაობამ. ამ მოძრაობას აზრადა აქვს ვიწრო ეროვნულ ნაციონალურ-პოლიტიკურ თვითშეგნების გამოღვიძება. ამისათვის აარსებენ სხვა და სხვა სახელწოდების საზოგადოებებს, რომელთა დანიშნულებაც ეროვნული შეკავშირება-შეერთებაა ეროვნულ ინტერესების მისაღწევად. რაკი ამ საზოგადოებებს ასეთი მიზანი აქვთ, ისინი, უეჭველია, ეროვნულ განცალკევებას და შუღლის განვითარებას ემსახურებიან, ამიტომ მათი არსებობა საზოგადოებრივ მყუდროებისათვის საშიშია. ეს განმარტა უმართებელესმა სენატმა თავის დადგენილებით (სენატის განმარტება 1908 წ. 19 ივნისს, № 98120 უკრაინთა საზოგადოების „პროსვიატა“-ს შესაებ; 1909 წ. 4 სექტემბრის დადგენილება, № 8397, პოლონეთის საზოგადოების „ოსვიატა“-ს შესახებ და სხვა.)

„ამის გამო, 1906 წ. 4 მარტის კანონის მე-6 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ასეთ საზოგადოებათა დაარსება ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია და მოვალედ ვთვლი ჩემ თავს მოვაგონო თქვენს აღმატებულებას, რომ „ინოროდცების“ და მათ შორის უკრაინელთა და ებრაელთა, ამ საზოგადოებების დაარსების შესახებ შუამდგომლობის განხილვის დროს, კავშირთა და საზოგადოებათა ადგილობრივმა საკრებულომ უნდა გამოიძიოს, საზოგადოებას ხომ არა აქვს ზემოდ დასახელებული მიზანი, და თუ დარწმუნდება, რომ მართლა ამ მიზნისათვის არის დაარსებული, დაუყონებლივ უარი უნდა უთხრას ასეთ საზოგადოების წესდების დამტკიცებაზე, სწორედ ისე, როგორც განმარტებული აქვს უმართებელეს სენატს.

„ამასთან ერთად დაწვრილებით უნდა გაიცნოთ „ინოროდცების“ უკვე არსებულ საზოგადოებათა მოღვაწეობა და თუ საჭიროდ დაინახავთ, აღძრათ შუამდგომლობა ამ საზოგადოებათა დახურვის შესახებ...

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ, ᲔᲞ. ᲘᲜᲝᲙᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

—

იმერეთის საეპარქიო კრების სახელით ბლაღოჩინი სიმ. მჭედლიძე შემდეგის დეპეშით მიესალმა საქართველოს ახალ ეჭზარხოსს ინოკენტის: „იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა მე 51 კრება სავალდებულოდ სთვლის მოგილოცოთ, მეუფეო, მშვიდობით ჩამოსვლა მრავალ-ტანჯულ ივერიის სამწყსოში. თქვენი აღთქმანი, ჭეშმარიტ ქრისტიანულ გრძნობით გამსჭვალულნი, განგვახარებს იმ იმედით, რომ თქვენი უუწმინდესობა ხელს შეუწყობს ივერიის უძველეს ეკლესიას, რომელმაც უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა მართლმადიდებლობა. კურთხეულიც იყოს თქვენი მშვიდობიანი, მოციქულებრივი მსვლელობა ძველთაგანვე მართლ-მადიდებელ ივერიაში და უზესაუსმა მოგანიჭოთ ძალა და სიმხნე ივერიის მართლმორწმუნე მოციქულებრივ ეკლესიის განახლებისა და მის კანონიერ უფლებათა აღდგენისათვის.

არქი ეპ. ინოკენტიმ შემდეგი დეპეშით უპასუხა:

„თქვენო ყ-დ უსამღვდელოესობავ! გთხოვთ ჩემი მადლობა გადასცეთ თქვენი ეპარქიის დეპუტატთა კრებას ჩემს საეკლესიოში ჩამოსვლის გამო მოლოცვისათვის. მშვიდობიანი შრომა რუსეთისაგან განუყოფელ და მის ხელქვეით მყოფ ივერიის ეკლესიის სკეთილდღეოდ, სამართლიანი მოპყრობა ამა ეკლესიის ყველა შვილთა მიმართ, ეროვნების განურჩევლად ჩემი მოვალეობა და წმიდა ვალია, მაგრამ მე სრულებით უარვყოფ ხელი შევუწყო ივერიის ეკლესიის რადაც კანონიერ მისწრაფებათა და უფლებათა აღდგენას. ვურჩევ მწყემსთ ხშირად და მხურვალედ განაღვივონ თავის გულში მოძღვრული სული. საქართველოს ეგსარხოსი **მთავარ-ეპისკოპოზი ინოკენტი, უწმინდ. სინოდის წევრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზო!

სასიმღერო სტროფონები

* * *

ვნების ტალღებმა შენს სიახლოვეს
დამწვეს, დამდაგეს, მომაჯადოვეს
შემდეგ გამსტყორცნეს, ობლად დამტოვეს,
ჩემო კეთილო, ნარნარო, ნაზო...
. . . . . ლამაზო!..

* * *

ახ, ნეტავ იმ დროს, როცა მხიბლავდი.
როს შენს ხუჭუჭ-თმებს ცრემლით ვნამავდი,
მაშინ ხორც შესხმულ ვენერას ჰგავდი.
დღეს-კი ღუღუნავ მტრედო, ჭალხაზო.
. . . . . ლამაზო!..

* * *

მხოლოდ მსურს, ტურფავ, ვიტანჯო მარტო,
რომ ეგ მშვენება აეხსნა, განვმარტო,
შენს წინ ვირხევი, ვით ლერწმისა რტო
ცად ატყორცნილო მთავ, ბუმბერაზო
. . . . . ლამაზო!..

* * *

ნუ სტირ, ნუ აბნევ ცრემლ-ცვარსა ციურს,
ნუ თრთი, ნუ მიბრთხი უძლურს, უბედურს,
ლიმილით შევსვავ შხამ-გესლს ქვეყნიურს,
მზად ვარ სიცოცხლე შენ გითავაზო.
. . . . . ლამაზო!..

ი. გრიშაშვილი.

ᲨᲔᲨᲚᲘᲚᲘ

ᲒᲘ ᲓᲔ ᲛᲝᲞᲐᲡᲐᲜᲘᲡᲐ

ფრანგულიდან

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲗᲔ—Ს.

აი ბატონებო, წარმოსთქვა მათიე დენტოლენმა, ცხრა-ტყავა ფრინველები მაგონებენ ხოლმე ერთ მეტად სამწუხარო ამბავს ომიანობისას.

ხომ გინახავთ ჩემი მამული კორმეის მიდამოში. სწორედ იქ ვიდექი, როდესაც პრუსიელები შემოვიდნენ.

ამ დროს მეზობლად ერთი შეშლილი ქალი სცხოვრობდა, რომელიც ჭკუაზედ შემცდარიყო უბედურების მიზეზით. ოდესღაც, მას, ოცდახუთი წლისას ერთ თვეში მოჰკვდომოდა მამა, ქმარი და ახლად-დაბადებული ბავშვი.

როდესაც რომელსამე სახლში ერთხელ შევა სიკვდილი, იგი თითქმის ყოველთვის დაუყონებლივ ხელმეორედვე ბრუნდება იქ, თითქოს კარები ემცნაურებაო.

საბრალო ახალ-გაზრდა ქალი, მწუხარებით ელდა-ნაცემი, ჩავარდა ლოგინად და ექვს კვირას ჰბოდავდა. ამ მწვავე ხანას შემდეგ მოჰყვა ერთგვარი წყნარი მოდუნება, სრულებით უძრავად იდო, ძლივს საზრდოობდა, და მარტო ოდენ თვალებს-ღა ამოძრავებდა. როგორც-კი დაუპირებდნენ წამოყენებას, ისე ჰყვიროდა, თითქოს ჰკლავენო. ამიტომაც მუდამ მწოლიარედ დასტოვეს და თუ გადმოიღებდნენ ქვეშაგებლიდგან, მხოლოდ დასაბანად და ლეიბის გადასაბრუნებლად.

ერთი მოხუცი მსახური-ქალი იყო მასთან, რომელიც ამ მევდა ხანდახან ან აღეჭვინებდა ცოტაოდენ ცივ ხორცს. რა ხდებოდა ამ სასოწარკვეთილ სულში? ვერავინ ეს ვერ შეიტყო; რადგანაც მას ხმა აღარ ამოუღია. მკვდრებს თუ იგონებდა?

ან მწუხარედ თუ ოცნებობდა ნამდვილ მოგონებას მოკლებული? ან ეგებ მისი მოსპობილი ფიქრი უძრავად გაჩერებული იყო როგორც წყალი მიმდინარეობას მოკლებული?

თხუთმეტ წელს დარჩა ესე ჩათხრობილი და მცონარე.

ომიანობამ მოატანა; და ქრისტეშობისთვის დამდეგს პრუსიელები შემოიჭრნენ კორმეის.

გუშინდელ ამბავსავით მახსოს ესა. ჰყინავდა ისე, რომ ქვასაც-კი გახეთქავდა; თვითონ მე-კი სავარძელზედ ვიყავ გადაწოლილი, ნეკრისის ქარებით დაკრული, როდესაც გავიგონე მძიმე და შეწყობილი ტყაპა-ტყუპი მათი ნაბიჯისა. ჩემი ფანჯრიდგან დავინახე, როგორც მოდიოდნენ.

მოდიოდნენ, დასასრული არა ჰქონდათ, ყველა ერთი მეორის მსგავსი, ხელოვნურ ტიკინების მოძრაობით, რომელიც მათ სჩვევიათ. შემდეგ უფროსებმა თავისი კაცები მცხოვრებლებს ჩამოურიგეს. მე მხვდა ჩვიდმეტი. მეზობელს, შეშლილს შეხვდა თორმეტი, მათ შორის ერთი უფროსიც, ნამდვილი ბრიყვი მეომარი, მრისხანე, უზრდელი.

პირველ დღეებში ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. ამ უფროსს უთხრეს ქალის ავადმყოფობა; მან-კი სრულებით თავიც არ შეიწუხა. მაგრამ მალე ამ ქალმა, რომელსაც არასოდეს არავინ არ ხედავდა, იგი გაარისხა. გამოიკითხა მისი ავადმყოფობა; უთხრეს, რომ მისი მასპინძელი მძიმე ჯავრის შემდეგ თხუთმეტი წელიწადია ლოგინად იყო ჩავარდნილი. მან, რასაკვირველია, ეს არ დაიჯერა და წარმოიდგინა, რომ საბრალო ჭკუა-შეშლილი არ შორდებოდა თავის ლოგინს სიამაყის მიზეზით, რომ არ დაენახა პრუსიელები, არც გაეცა მათთვის ხმა, და არც შეხებოდა სრულებით მათ.

მან მოითხოვა რომ იმ ქალს იგი მიეღო; შეიყვანეს მის ოთახში, იგი ტლანქის კილოთი შეეკითხა:

— გთხოვთ, ქალბატონო, ადგეთ და ჩამოხვიდეთ, რომ დაგინახონ.

ქალმა მიიბრუნა მისაკენ ამღვრეული თვალები, ცალიერი თვალები და პასუხი არ მისცა.

მან ხელახლად უთხრა:

— მე ვერ ავიტან უზრდელობას. თუ თქვენისავე ნებით არ ადგებით, კარგად გამოვსძებნი საშუალებას, რომ მარტო გაგასეირნოთ.

ქალი არ შერხეულა, სულ უძრავი იყო, თითქოს არც კი დაუნახავსო.

იგი ბრაზდებოდა, ამ წყნარს სიჩუმეს უზენაეს მძულვარების ნიშნად ჰგულისხმობდა. და დაუმატა:

— თუ ხვალ ჩამოსული არ დამხვდით...

შემდეგ გავიდა.

მეორე დღეს მოხუცმა მსახურმა, გონება-დაბნეულმა, მოინდომა მისი ჩაცმა; მაგრამ შეშლილმა დაიწყო ღრიალი და წინააღმდეგობა. ოფიცერი მეისვე ამოიჭრა; მოსამსახურე ჩაუვარდა ფეხებში ღრიალით:

— არა ჰსურს, ბატონო, არა ჰსურს. აპატიეთ; ეგ ისეთი უბედურია.

ჯარის კაცი უხერხულ მდგომარეობაში იყო, გულმოსულობის მიუხედავად ვერა ჰბედავდა, თავის კაცებისათვის ჩამოეთრევინებია იგი ლოგინიდგან. მაგრამ უცებ დაიწყო ხარხარი და გერმანულად გასცა ბრძანება.

მალე დაინახეს, რომ გამოვიდა ერთი ჯგუფი რომელსაც ეჭირა ლეიბი ისე, როგორც დაჭრილის წაღება იციან. ამ ლოგინზედ, რომელიც ჯერ არავის აეშალა, შეშლილი, მუდამ დამშვიდებული, წყნარად იყო და ყურადღებას არაფერსაც არ აქცევდა, თუ კი მწოლიარეს დასტოვებდნენ. უკან ერთ კაცს მოჰქონდა ქალის ტანისამოსიანი ყუთი.

ხელების სრესვით წარმოსთქვა ოფიცერმა:

— ჩვენც კარგად მოვახერხებთ, თუ ვერ შესძლებთ მარტოდ ჩაცმას და ცოტა გასეირნებას.

შემდეგ მთელი ჯგუფი იმოვილის ტყისაკენ გაემართა.

ორი საათის შემდეგ ჯარის-კაცნი მარტონი დაბრუნდნენ.

იმის მეტად აღარავის უხილავს შეშლილი. რა უყვეს? სად წაიღეს? ეს ველარავინ გაიგო.

ეხლა დღე და ღამე თოვლი მოდიოდა, თანაც ტყე და ბარი გაყინულ ქაფის სუდარით წარიგრაგნა. მგლები ჩვენ კარებამდე მოდიოდნენ და ღმუოდნენ.

ამ დაკარგულ ქალის ფიქრი მუდამ დამდევდა; ბევრს ვეცადე პრუსიელ მთავრობის წინაშე, რომ რაიმე ცნობა მომეპოვებინა. კინაღამ არ დამხვრიტეს.

გაზაფხულმაც მოატანა. ჩამოყენებული ჯარი გაგვშორდა. ჩემი მეზობლის სახლი დახშული დარჩა. ხეივანში ხშირი ბალახი ამოდიოდა.

ზამთრის განმავლობაში მოხუცი მსახური მოკვდარიყო. არავინ აღარ დაეძებდა ამ ამბავს; მხოლოდ მე-ღა ვფიქრობდი მაზედ განუწყვეტლივ.

ნეტავ რა უყვეს ამ ქალს? ეგებ გაიპარა იმ ტყიდგან! ეგებ სადმე თავი შეაფარებინა ვინმემ და სამკურნალოში თუ მოათავსეს როდესაც ვერავითარ ცნობას მისგან ვერ მიიღებდნენ. ვერაფერი ვერ მიმსუბუქებდა ეჭვს; მაგრამ დრომ ცოტ-ცოტად დამიმშვიდა გულის დარდი.

შემოდგომაზედ კი ცხრა-ტყავა ფრინველებმა გაიარეს მრავლად; და რადგანაც ნეკრისის-ქარმაც ცოტა მიშეღავათა, ტყემდისაც წავჩანჩალდი. ოთხი თუ ხუთი გრძელ-ნისკარტიანი ფრინველი უკვე მოკლული მჰყავდა, როდესაც ერთს მოვახვედრე, რომელიც ტოტებით აღსილ თხრილში დამეკარგა. უნდა ჩავსულიყავ იქ ფრინველის ამოსატანად. ვნახე კიდეც, იგი დაცემულიყო მკვდრის თავის გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. და უცებ შეშლილის მოგონებამ გამიელვა, თითქოს ვინმემ მუშტი მკრაო. შეიძლება მრავალ სხვასაც აღმოჰხდა სული ამ ტყეში ამ ბედ-შავ წელიწადს; მაგრამ არ ვიცი რატომ, დარწმუნებული ვიყავი, დარწმუნებული, მოგეხსენებათ, რომ წავატყდი იმ უბედურ გონ-მიღებულის თავს.

და მყისვე გავიგე, ყველაფერს მივხვდი. მათ მიუტოვებიათ იგი ცივსა და მიყრუებულ ტყეში თავისავე ლოგინზედ; და თავის მიჟინებულ აზრის ერთგული, იგი დანებდა სიკვდილს თოვლის სქელსა და მჩატე ბუმბულ ქვეშ, ხელისა და ფეხის გაუნძრევლად.

შემდეგ მგლებს შეუჭამიათ.

ფრინველებსაც მისი დაგლეჯილი ლოგინის მატყლით თავისი ბუდე გაუკეთებიათ.

შევინახე ეს საბრალო ძვლები. და ვინატრე რომ ჩვენი შვილები არასოდეს აღარ შესწრებოდნენ ომს.

ვ. ლ—ძე.

* * *

მე მიყვარს ველი
აყვავებული,
ვარდ-ყვავილებით
ტურფად შემკული,
ტკბილ სუნნელებით
აღვსილი სიო,
შიგ ჰარმონია
ტკბილი, მსოფლიო.
იქ ჰხარობს გული,
ბედით ვნებული,
ცხოვრებისაგან
ტანჯულ-გვემული.
სამოთხის დარი
მიტყვევებს თვალსა,
იქ ვსჭვრეტ ჩვენს წარსულს
და მომავალსა.
იქ აღვიზარდე.
იქვე მსურს მოვჰკვდე,
რომ თვით სიკვდილსაც
სიამით ვგრძნობდე.

ი. მჭედლიშვილი.

ბ-ნ ივანე ჯავახიშვილის ლექციები.

ქართულ საისტორიო მწერლობაზე.

(დასასრული)

როგორც უკანასკნელ წერილში ვამბობდით, მეთვრამეტე საუკუნე და კერძოდ ვახტანგ მეექვსის ხანა განახლების ხანა იყო. ამ დროს დიდი გაუმჯობესება დაეტყო ქართულ სულიერ ყველა დარგს. განვითარდა მწერლობაც, საისტორიო მწერლობაც განვითარების გზას დაადგა.

ვახტანგმა შეჰკრიბა ისტორიკოსთა კომისსია და შეუდგა „ქართლის ცხოვრების“ შესწორებასა, შევსებასა და გაგრძელებას. გაგრძელება „ქ. ც-ისა“ შესანიშნავად შეისწავლა ჩვენმა ნიჭიერმა მკვლევარმა ექ. თაყაიშვილმა. (Описаніе рукописей Общества Распр. Грам. среди Грузинъ წიგნი II).

ჩვენამდე მოღწეული „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგამდის იყო გადაწერილი. ეს გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“ არის მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრება.“ იგი იყო უმთავრესი ქართული მასალა ვახტანგის კომისსიისათვის, ერთადერთ სრულ დედნად „ქართლის ცხოვრებისა“ ეს მარიამ დედოფლის ვარიანტი უნდა ჩაითვალოს. თვით ვახტანგს ხელთა ჰქონია ეს ვარიანტი. არშიებზედაც თავისი შენიშვნები გაუკეთებია.

უპირველეს ყოვლისა ვახტანგის კომისსია სცდილობდა ტექსტის აღდგენასა. ეს აღდგენა ერთბაშად არ შეუსრულებიათ, არამედ თანდათან.

მოიპოვება სამი ჯგუფი ხელ-ნაწერთა: 1) გასწორებული თამარ-მეფის ისტორიის შუა-გულამდე. 2) შესწორებული მთლად, გიორგი ბრწყინვალემდე და 3) შესწორებული და გაგრძელებული გიორგი ბრწყინვალიდან მოყოლებული. კომისსიის მიზანიც იყო აგრეთვე გაგრძელება „ქართლის ცხოვრებისა“, რადგანაც ძველი მხოლოდ გიორგი ბრწყინვალემდის იყო დაწერილი.

კომისსიას ბევრი სხვა და სხვა წყარო შეუკრებია. პირველ ნაწილისათვის მას არავითარი ქართული წყარო არა ჰქონია, არამედ სპარსული და სომხური წყაროები. მეორე ნაწილისათვის მასა ჰქონია ძველი ქართული წყაროები, — „ბაგრატისა და კონსტანტინეს ცხოვრებანი.“ მესამე ნაწილისათვის მასა ჰქონია სიგელ-გუჯრები როსტომ მეფემდის, და სხვა და სხვა სამონასტრო საბუთები და კვინკლოსები, ანუ ქრონიკები. მეოთხე ნაწილისათვის ზეპირ-გარდმოცემებითაც უხელმძღვანელნიათ.

ვახტანგ მეფის შემდეგაც განუგრძვიათ ასეთი მუშაობა, როგორცა სჩანს.

საერთო მიზანი კომისსიისა ყოფილა: ისტორიის დაწერა თანამედროვე ხანამდე, გამორკვევა საქართველოს დანაწილებისა სხვა და სხვა სამეფოებად და სამთავროებად, გამოკვლევა სამეფო და საგვარეულო შტოების შთამომავლობისა, აგრეთვე სამთავროებისა და სამეფოების საზღვართა. რასაკვირველია ასეთი შრომის აღსრულება ძლიერ ძნელი იყო. ძნელი იყო შეკრება და შესწორება ყველა ქართულ ნაწარმოებთა, რომელთაგანიც ბევრი დაკარგული და გადამახინჯებული იყო. ამიტომაც კომისსიას დასჭირდა უცხო წყაროებითა და კერძო

საბუთებით სარგებლობა, და იგიც სარგებლობდა, როგორც არა ვსთქვით, სპარსულ და სომხურ წყაროებითა, სიგელ-გუჯრებითა და სხვა საბუთებით. სხვათა შორის ,,ქართლის ცხოვრების'' აღმადგენელნი სარგებლობდენ ისკანდერ მუნშის თხზულებითაც.

ვახტანგისეულ კომისიის მნიშვნელობა და ღვაწლი დიდი იყო. თუმცა ბევრი შეცდომა მოიპოვება მისგან აღდგენილ ,,ქართლის ცხოვრებაშიაც'', მაგრამ შედარებით ფარსადან გორგიჯანიძის შრომასთან იგი უდიდესი ნაბიჯია საისტორიო მწერლობისა. სხვა არა იყოს რა, ვახტანგის კომისიამ უჩვენა მაშინდელ ქართველ საზოგადოებას სამშობლო ისტორიის ნამდვილი წყაროები და მანვე მისცა ,,ქართლის ცხოვრებას'' ის მშვენიერი სახე, რომელიც დღესა აქვს.

კომისსიამ მთელი ეპოქა შეჰქმნა საისტორიო მწერლობისა. ამ მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენელი არის ვახუშტი ბატონიშვილი. მან განიზრახა დაეწერა მეორე ნაწილი ქართლის ცხოვრებისა გიორგი ბრწყინვალიდან, ანუ უკეთ ვსთქვათ შეესწორებინა კომისსის გაგრძელება ,,ქ. ც—ძისა''. კიდეც აღასრულა ეს შრომა. ვახუშტის მრავალი წყარო ჰქონდა. მას ჰქონდა აგრეთვე აღწერის დავთრები.

გეოგრაფიულ აღწერილობას წინ-უძღვის სახელმწიფო წეს-წყობილების აღწერა, ხოლო გეოგრაფიული აღწერილობა წინ-უძღვის ისტორიულ აღწერასა. მას კუთხეობით აქვს აღწერილი საქართველო.

ვახუშტის ვახტანგის კომისსის ყველა წყარო ჰქონია: აგრეთვე სპარსული წყაროები, აგრეთვე მრავალი ქრონიკები. ვახუშტის მეთოდი უკვე გაუმჯობესებულია. იგი კრიტიკულია. მას მრავლად მოჰყავს ლოდიკური საბუთები თავის ისტორიულ მსჯელობაში და მშვენივრად ხმარობს აგრეთვე ქრონოლოგიურ მეთოდს.

ვახუშტის წიგნის შესავალი შესანიშნავია მით, რომ ვახტანგის კომისიის შეცდომებს ეპყრობა კრიტიკულად და აღნიშნავს, რა საბუთებით შეიძლება ამ შეცდომათა გასწორება. ხოლო ნაკლი მისი „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა არის ის, რომ ავტორი წყაროებს არ ასახელებს. ყოველ შემთხვევაში, ვახუშტი მაინც შესანიშნავი ისტორიკოსია. გარდა სხვა ღირსებათა მას ის ღვაწლი მიუძღვის, რომ პირველმა შეჰქმნა კრიტიკული მიმართულება ქართულ საისტორიო მწერლობაში.

ვახუშტიმ ისეთი გავლენა იქონია თავისის ისტორიითა და მეთოდებით, რომ მისი გავლენით ერთმა უცნობმა ავტორმა, რომელსაც უნდა ეცხოვროს 1760 წლამდე, დასწერა გადაკეთებული გაგრძელება „ქართლის ცხოვრებისა“. ეს თხზულება სწორ წყაროებზეა დამყარებული. იქ მოიპოვება მრავალი ახალი ცნობა სამცხის შესახებ, გელათის შესახებ, კახეთის შესახებ, რომელიც არ მოიპოვება ვახტანგის კომისიის „ქართლის ცხოვრებაში“.

ერთის სიტყვით „ქართლის ცხოვრების“ [illegible] წორებამ და გაგრძელებამ დიდი გავლენა იქონია. მან შეჰქმნა ვახუშტისა და ზემოხსენებულ უცნობ ავტორის დაუფასებელი ნაწარმოებნი. გაცხოველდა საზოგადოდ საისტორიო მწერლობა.

აღსანიშნავია აგრეთვე ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, ამავე ეპოქისა. სეხნია ჩხეიძე იყო აღზრდილი გიორგი მე-XI-ის ძმის ლევანის მიერ. იგი აგრეთვე მეგობარი იყო ქაიხოსრო ბატონიშვილისა. მონაწილეობას იღებდა ქართველებთან ერთად ბელჯისტანისა და ავღანისტანის ომებში, როდესაც სპარსელები ქართველთა ვაჟკაცობით ქვეყნებს იპყრობდნენ. გიორგი მე-XI-განმას ბოლოს მოლარეთ-უხუცესობაც მიეცა.

სეხნია ჩხეიძემ დასწერა თხზულება—თვალით ნახული ცხოვრება მეფეთა. ისტორია ეხება ოთხმოცდა ექვსი წლის ამბავს (1653—1739 წ). იქ მართლაც მეფეთა ცხოვრების აღწერაა. მაგრამ უფრო უცხო ქვეყნის, სპარსეთის ამბებს შეეხება ავტორი, ვიდრე საქართველოს მდგომარეობას. დაწვრილებით არის მოთხრობილი სპარსეთში მოღვაწეობა ქართველ მეფეთა და ბატონიშვილთა, ხოლო საქართველოს მდგომარეობაზედ ორიოდე სიტყვით გვიმასპინძლდება. იგი 1707 წლიდან მოლარეთ-უხუცესად იყო, მაშასადამე კარგად უნდა სცოდნოდა მაშინდელი მდგომარეობა საქართველოსი, მაგრამ მას იგი არ ეინტერესება, არ ეინტერესება ის ხანა, როდესაც საქართველოს მეფეები და ვაჟკაცობა თავისი ძალასა და ღონეს სპარსეთის ძლიერებას ალევდა და მაზედ ზრუნავდა.

სეხნია ჩხეიძე ხასიათითაც საკვირველი კაცი იყო: გულ-ქვა, ქარაფშუტა და უდარდელი. მაშინდელ საშინელ მდგომარეობაზედ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს; შესანიშნავი მეფის, ვახტანგის გარღაცვალების შესახებ ერთი უბრალო სინანულისა და გლოვის სიტყვაც არ დასცდენია, თითქოს საქართველოსათვის არა გაეკეთებიოს რა ამ სახელოვან მეფესა და მისი ცხოვრება საისტორიო საგანიც არა ყოფილიყოს!

სეხნიას უმთავრესი წყაროები ნახული და გაგონილი იყო. თუმცა ნათლადა სჩანს, რომ მას კარგადა სცოდნია დავით აღმაშენებელის ისტორია. ცხადად ეტყობა მისი გავლენა მის შრომას. საერთოდ იგი უფრო წამბაძველი იყო მწერლობაში, ვიდრე შემომქმედი და ორიგინალური ნიჭის მქონე.

მის თხზულებას მატიანის ხასიათი აქვს.

უკანასკნელი შესანიშნავი ისტორიკოსი ამ ეპოქისა იყო პაპუნა ორბელიანი. მან დასწერა ცხრამეტის წლის საქართველოს თავ-გადასავალი—1639—1760 წლ. იგი სრულიად წინააღმდეგი ტიპია სეხნია ჩხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძისა. ეს უკანასკნელი თუ გულ-ქვა იყო და არ აქცევდა ყურადღებას სამშობლოს საშინელ მდგომარეობას, პაპუნა ორბელიანი, პირიქით, სწორედ ამ საშინელ მდგომარეობას აღწერს მაშინდელ საქართველოსას. პაპუნა ორბელიანი თანამედროვე იყო სეხნია ჩხეიძისა და მან კარგად იცოდა საქართველოს გამოუთქმელი უბედური მდგომარეობა მეჩვიდმეტე საუკუნისა და მეთვრამეტის დასაწყისისა, და სწორედ სათავეშივე აღნიშნავს მიზანს თავისის თხზულებისას: მან ისტორია დასწერა, რომ ქვეყანას ამცნოს, თუ რა განსაცდელშია საქართველო, რა პოლიტიკურ და ქონებრივ შევიწროებას განიცდის უცხოთა ბატონობის წყალობითა. მისი მიზანი იყო, ახალგაზრდობასაც გაეთვალისწინებინა ასეთი უბედურება სამშობლოსი, რა იყო მიზეზი ამ უბედურებისა, ვისგან და როდის დაგვატყდა იგი თავზედ ქართველებს.

და მართლაც, ამ თხზულებაში მრავლად მოიპოვება ცნობა მაშინდელ ეკონომიურ მდგომარეობაზედ: გაჭირვებაზედ სპარსელთა ბატონობის წყალობით და აგრეთვე თანდათან ეკონომიურ აღორძინებაზედ ქართლისა და კახეთისა. პოლიტიკური ვითარებაც არის საუცხოოდ დასურათებული. მოიპოვება აგრეთვე ცნობები სახელმწიფო წყობილებაზედ, სამეფო დარბაზობაზედ და საეკლესიო მართვა-გამგეობაზედ.

მამულისშვილური გრძნობით და სიყვარულით არის გამსჭვალული მთელი მისი თხზულება. იგი საუკეთესო ნაწარმოებია მეთვრამეტე საუკუნის საისტორიო თხზულებათაგან ამ მხრითაც.

ხასიათი თხზულებისა— მატიანისაა. წესი მოთხრობისა ქრონოლოგიურია. ფარსადან გორგიჯანიძის ენა განმტკიცებული და განვითარებულია, თუმცა ამ თხზულებას გიორგი მთაწმინდელის გავლენაც ეტყობა. უმთავრესი წყაროები მისთვის იყო აგრეთვე ნახული და გაგონილი, მაგრამ სარწმუნო კაცთაგან ნახული და გაგონილი.

პაპუნა ორბელიანი, როგორც არა ვსთქვით, საუკეთესო იმ დროის მეისტორიედ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი მარტო ლაშქრობასა და ომებს კი არ აქცევდა ყურადღებას, არამედ ეკონომიურსა და ერთობ კულტურულ ცხოვრებას.

ეს იმით აიხსნება, რომ ეს დრო განახლებისა და აღორძინების ხანა იყო. დასტურლამალი, კანონები, ლექსიკონი და სხვა, აგრეთვე აღწერა საქართველოსი სპარსთაგან და ოსმალთაგან დიდი მასალა იყო საქართველოს მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ამავე დროს ძველის შესწავლასაც სცდილობდნენ. თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობის დროს ეროვნული მიმართულება და კულტურულ საუნჯეთა თავის-მოყრის სურვილი კიდევ უფრო ძლიერდებოდა და ენის განწმენდასაც კი შეუდგნენ სპარსთა და სხვა უცხოელთა გავლენისაგან. აღადგინეს აგრეთვე მეფის კურთხევის ძველი ქართული წესი და სხვა.

აი ამ ეპოქის შვილი იყო პაპუნა ორბელიანი და რასაკვირველია, იგი საუცხოო ნაშთს დაგვიტოვებდა, როგორც ისტორიკოსი, მით უმეტეს, რომ პირადად იყო შესანიშნავი მამულისშვილი და მოყვარე საქართველოსი.

არის კიდევ ერთი ისტორიკოსი ამ ეპოქისა,— ომან ხერხეულიძე,—რომელმაც დაიწყო ისტორია ერეკლე მეორის მეფობისა, მაგრამ საუბედუროდ არ დაუმთავრებია...

B.

სიტყვა და საქმე

—

აი დალახვროს ღმერთმა! აგერ ოთხი საათია ვზივარ, თავს ვიმტრევ და მაინც რითმა ვერ მიპოვნია! ქათამი რომ ვყოფილიყავი აქამდინ ასს კვერცხს დავდებდი.—წამოიძახა კირილემ, გაჯავრებულმა გადაისროლა იქით კალამი, მოიწმინდა ხელის გულით ოფლით დანამული შუბლი და ამოიოხრა...—ნეტა ვიცოდე განთქმულ პოეტებსაც აკარგვინებდნენ დროს ეს დაწყევლილი რითმები თუ არა? ბევრთაგან მსმენია, რომ თვით გეტე ბევრ დროს ანდომებდა ლექსების გალაზათიანებას... თვით გეტე და მეც ხომ... ჰმ... აქ კირილემ წაიბუტბუტა რაღაცა, ალბად სასიამოვნო რამ, რადგან თავმომწონედ გაიმართა წელში და მარჯვენა ულვაში აინემსა...

გარდა ამისა,—განაგრძო კირილემ,—ამბობენ, რომ პოეტს აღფრთოვანებისა და სხვა ამ გვარ რაღაცების გარდა მუსიკალური ყურიც უნდა ჰქონდესო. არ ვიცი, ეს ჩემი ყურები რას იტყვიან, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ყოველგვარ სიმღერას, ნაცნობს, თუ უცნობს ბანს შევუწყობ ხოლმე... ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუსიკალური სმენა მქონია.

დიაღ, ღვთით, ყველაფერი სავსებით მაქვს, აღფრთოვანებაც და სმენაც, მაგრამ... ამ ოხერ რითმებს რა მოვუხერხო?! დასწყევლოს ღმერთმა ბოქაულის თავი! სიტყვები ცალკცალკე რომ ავიღო, რითმებს ყოველთვის შევუწყობ... ავიღოთ, მაგალითად ცხვირი!—ცხვირი, ჩხირი, გმირი, ვირი, მწირი, ძირი და სხვა. მაგრამ საქმეც მაგაშია, რომ როდესაც ლექსებსა ვსთხზავ, მაშინ ეს ყველაფერი მავიწყდება ხოლმე. ეჰ, ერთი კიდევ ვცადო. კირილემ დაავლო ხელი კალამს, ჩაახველა, შუბლი შეიკრა და დააშტერდა დიაღაც რომ საეჭვო სითეთრის ქაღალდს. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ პოეტის ჩანგის სიმებში გაებნენ შემდეგი სიტყვები:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მუშა, მუშიკო, მუშაჯან
ვენაცვალე შენს მარჯვენას...

—ჰმ, მარჯვენას! აი ძაღლის თავი სად მარხია! მარჯვენას... ენას... სმენას... კბენას... დენას... ფრენას. რომელი ერთი ავიღო! ოჰ, საწყალო მუშავ, აქაც რომ არ გებედება! შენი უნუგეშო მდგომარეობა, შენი ყოველ-დღიური ჭირ-ვარამი ცეცხლს მიკიდებენ, ათას გვარად ჰბოჭავენ შენდამი სიყვარულით გამსჭვალულ გულს! ჩემო საბრალო მუშავ, შენთვის ჟღერს ჩემი ჩანგი, შენთვის ვაფრქვევ მე დღე და ღამ უნუგეშო ცრემლებს; მთელი ჩემი არსება, შემომიწირავს შენთვის, ჩემო მუშავ! მე გიმზადებ დიდებულ მომავალს და, იცოდე, ამისათვის არ დავიშურებ არც ძალ-ღონეს და არც სიცოცხლეს! მრისხანე ლომივით შევებმი შენს დამჩაგვრელს ცხვირ-აწეულს, გონება-დაწეულს ფეოდალს და მაძღარს, შენის შრომით გასუქებულს, სულმდაბალს, რუმბივით გაბერილს ბურჟუას. შენთვის შევებრძოლები თვით ჯოჯოხეთს, უარვჰყოფ ედემს, ოჯახს, სიყვარულს!—აქ კირილეს ხმა აუკანკალდა.—თვალ წინ მიდგეხარ შენ ფერ-მიხდილი, წარბ-შეჭმუხვნილი! ნაღვლიანის, უსაზღვროდ ნაღვლიანის თვალებით შეჰყურებ შენს ნახევრად მშიერს და შიშველს ცოლ-შვილს, შენი ბნელი ოთახი, რომელიც უფრო ძაღლის ბუნაგსა ჰგავს, სინესტით გაჟღენთილი სულს გიხუთავს, კარები კი ვერ გაგიღია, რადგან გარედ საშინელი სიცივეყინვაა!.. სასოწარკვეთა, რისხვა ელვარებენ შენს ცრემლებისაგან გაწითლებულ თვალებში და პირზე გაკერია საშინელი, ულმობელი მაგრამ სამართლიანი წყევლა მდიდარ, კანონიერ ყაჩაღ-მძარცველებისადმი! ო-ო, ექსპლოატატორებო ნეტავ ყველას ერთი თავი გებათ, რომ მახვილით, მაგრამ არა, მახვილი პატიოსანი იარაღია, ცულით, უბრალო ცულით გაგაგდებინოთ იგი ქვეყნის საბედნიეროდ!..

—შვილო რასა ჰყვირი? გენაცვალოს დედა შენი, ხომ არა დაგმართვია რა?—წამოიძახა კირილეს დედამ, რომელიც შემოვარდა ოთახში გულგახეთქილი.

—რა არის შვილო, ჩაგიყვია ცხვირი წიგნებში და დღე და ღამ მედავითნესავით ბუტბუტებ რაღაცას. გამიგონია, რომ გადაჭარბებულ სწავლა-მეცადინეობისაგან არა ერთი გაგიჟებულაო. გაუბრთხილდი შენს თავს.

—ეჰ, აბა რას ამბობ დედა ჩემო! მე იმაზე ვფიქრობდი რომ... რა ჰქვიან... ერთის სიტყვით ვფიქრობდი იმაზედ, რასაც ვერ აგიხსნი, რადგანაც ვერ მიმიხვდები, ვერ გაიგებ.

—მესმის შვილო! აბა მე ჩემის პატარა ჭკუით როგორ მიგიხვდები, როგორ გავიგებ შენს მადიანს აზრებს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. აი ეს მეორე კვირაა, რაც შენი ტახტი, რომელზედაც წევხარ, სულ ერთიანად დაიშალა და სახმარებლად აღარ ვარგა. წადი გაისეირნე და ახალი ტახტი იყიდე; იქნება ორიოდე იაფფასიან სავარძელსაც წააწყდე სადმე.

—არა მცალიან, დედი, ბევრი საწერი მაქვს.

—წერას ყოველთვის მოასწრებ. რასაც შენ სწერ, რა ვიცი, შვილო, რით ვერ დააშვრე ქვეყნის მელანი.

—არა, საქმე იმაშია, რომ მე ეხლა წერის გუნებაზედ ვარ!

—აი შვილო, ახალ ტახტზედ დღეს რომ გამოიძინებ უფრო კარგ გუნებაზე დადგები და ალბად კარგ რამესაც დასწერ.

კირილეს ცოტა არ იყოს ჭკუაში მოუვიდა დედის სიტყვები. გადაიცვა პალტო, ჩამოიფხატა თავზედ ქუდი და შუა-ბაზრისაკენ გაემართა.

გზაში განუწყვეტლივ ბუტბუტებდა: მარჯვენას... ენას... კბენას... ღრენას... წყენას!..

ბაზარი სავსე იყო ხალხით, რომელიც ბუზივით ირეოდა. კირილემ ჰამლეტის პოზა მიიღო, დადგა ერთ კუთხეში, ხელები გულზედ დაიკრიფა და დაუწყო ცქერა ამ გაცხარებულს მოძრაობას.

—დიაღ! სთქვა ბოლოს კირილემ სწორედ იმ კილოთი, რა კილოთიც წამოიძახებენ ხოლმე ამ სიტყვას ჩვენი არტისტები, როდესაც ქართულ სცენაზედ აწამებენ დრამატურგებს.

—დიაღ, აქ მე ვხედავ ხორც-შესხმულ შრომას... ოფლს, რომელიც იღვრება ლუკმა პურის საშოვნელად! „ვენაცვალე შენს მარჯვენას“. ეს კარგადა მაქვს ნათქვამი იმ ჩემს დაწყებულ ლექსში... იმუშავე, იმუშავე საბრალო ხალხო! მხოლოდ გახსოვდეს, რომ შენის შრომის ნაყოფით ისარგებლებს სხვა... დიაღ, სხვა... მაგრამ დროა ტახტი მოვძებნოთ!

ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ კირილემ იყიდა ერთი ტახტი და ორი გახუნებული მძიმე სავარძელი, გაუსწორდა გამყიდველს, ჩაიდო ჯიბეში ქისა, ზევიდან ხელსახოცი დაადო—არ ამომივარდესო—და დაუძახა იქვე მდგომ მუშას:

აბა, ძმობილო, აიკიდე და წამომყევი!.. მრავალ სიმძიმეთა თრევისაგან წელში მოხრილმა ჭალარა-შერეულმა რაჭველმა გადმოიღო თასმები, თოკი, ცალ გვერდზედ შეაყირავა ტახტი, მიაკრა ზედ სავარძლები, გაისწორა კურტანი, მიუშვირა ზურგი, ერთი ღრმად ამოიხვნეშა, ასწია რის ვაი-ვაგლახით და კირილეს გაჰყვა... შორიდამ რომ შეგეხედნათ გეგონებოდათ ტახტს ფეხები გამოჰბმიაო და ისე მოაბიჯებსო.

ჩასისხლიანებულის თვალებით მუშა ხშირად იყურებოდა წინ—ეტლი არ დამეჯახოსო... კირილე წინ მიდიოდა, ფიქრებში გართული. უცბად იგი შედგა... ვიპოვნე!.. წამოიძახა იმან გახარებულის ხმით, მაგრამ ისე მაღლა, რომ ვიღაც მაღაზიის წინ მდგომარე ნოქარმა გაოცებულმა შეხედა

361 ᲐᲠᲛᲘᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

იმ ადგილს, სადაც იდგა ჩვენი გმირი და გაიფიქრა —ნეტავ ვიცოდე, რა იპოვნა ამ კაცმა... ძვირფასი რამ იქნებაო...

ვიპოვნე!.. კვლავ წამოიძახა კირილემ.

მარჯვენას—ლხენას!.. აქ არ დამავიწყდეს...

ეი, ძმობილო, გადმოდგი ფეხი, კუსავით კი ნუ მოფოფხავ!.. შეუტია მუშას კირილემ.

ხომ ვერ გამოვჭენდები, დალოცვილო! ბუმბული მომაქვს თუ?

ბუმბული მოგაქვს თუ ვირის თავ-ფეხი. გეუბნები ფეხი ააჩქარე, თორემ...

მუშამ მხოლოდ ამოიოხარა... მაგრამ ფეხი, მაინც არ ააჩქარა.

დასწყევლა ღმერთმა! ეს რაჭველები რა ბრიყვები არიან! —ჯავრობდა კირილე.— ერთს ეტყვი— ათასს შემოგიბრუნებენ!.. მაგრამ ეშმაკმა წაიღოს ამისი თავი! მე ეს სიტყვა არ დამავიწყდეს... რომელი იყო?.. ჰო, „ლხენას“...

მუშა, მუშიკო, მუშაჯან
ვენაცვალე შენსს მარჯვენას...

მესამე სტრიქონს ადვილად მოვახერხებ, რადგან ურითმოა; მეოთხეს ბოლოში კი მოვაქცევ სიტყვას „ლხენას“... ჰმ...

ბატონო, შორსა დგეხარ? ჰკითხა კირილეს ხრინწიანის ხმით მუშამ.

ვერაზე!

უჰ, შე დალოცვილო, რო მაჩქარებ კიდეც! კამეჩიც დაიღლება და მე ხომ ადამიანი ვარ!

— ადამიანი კი არა, მაიმუნიანის ხარ! პირველი კაცი ქვეყანაზე, ბიძიავ, მაიმუნი იყო.

მუშამ იწყინა ეს სიტყვები... კირილეს ჩუმის ხმით მაგრად შეუკურთხა.

ასე მიდიოდნენ წინ მუშათა მოტრფიალე და მუშა. არ დაგტანჯავ, მკითხველო, იმის აღწერით თუ რა რითმებს აფრქვევდნენ კარილეს ბაგენი, თუ რამდენჯერ დადგა გზაში მუშა სულის მოსაბრუნებლად... ტახტი სავარძლები ძლივს-ძლივობით შეათრიეს ოთახში და დააგდეს კუთხეში... მუშამ გაანთავისუფლა სავარძლები, შეჰკრა თოკი, მოიწმინდა შუბლიდამ ოფლი და კარებში აიტუზა.

კირილემ დანჯღრეულ ტახტიდამ ახალზედ გადმოალაგა თავისი ლოგინი.

კირილე, გაუსწორდი მუშას... მოაგონა დედამ.

ჰო, მართლა!.. კირილემ ამოიღო ქისიდამ შავი ფული და მიუბრუნდა მუშას.

რა გერგება?

შენი ნებაა, ბატონო!

მაინც?

რა ვიცი, შენი ჭირიმე, ერთი საწყალი კაცი...

— აჰა, გააწყვეტინა სიტყვა კარელემ და ჩაუყარა გამოწვდილ ხელში რამდენიმე შავი ფული.

მუშამ დაითვალა რამდერჯერმე ფული, მერე მწარის ღიმილით მიმართა კირილეს.

ეს რა არის ბატონო.

რა არის და ფული! თორმეტი კაპიკი არ გეყოფა?

რასა ბრძანებ? ხომ არ დამცინი, ორს ვერსზედ მეტი გავიარე, კინაღამ სული ამომძვრა, წელში ვერ გავსწორებულვარ და... თორმეტი კაპიკი!

რასა ბრძანებ?..

მუშას ხელი ისევ გაწვდილი ეჭირა და ზედ თორმეტი კაპეიკი იდო.

მაშ რამდენი გნებავს?

აბაზი!—მოკლედ სთქვა მუშამ.

აბაზი ? ეი, დაუშტვინე! ორი შაურიც რომ დამემატა, ეტლით წამოვიღებდი...

მე შრომა გამიწევია და ამ შრომისათვის...

— ამ შრომისათვის აკი გაძლევ თორმეტს კაპიკს. მე, ძმაო, მეჩქარება, და ბევრი ლაპარაკიც არ მიყვარს, გინდა წაიღე, გინდა ნუ. არც მეტს მოგცემ, არც ნაკლებს..

— თუ კი სინდისზედ ხელს აიღებ,..—

— ენას ნუ გაიგრძელებ, თორემ ასეთს გაგიშლი, ნახევარიც ვერ დასთვალო!

— ნუ გამიჯავრდები, კნიაზო, თვრამეტი კაპეიკი მაინც მიბოძე

გროშსაც არ მოგიმატებ! ჩემი სინიდისი რა შენი ხელის წამოსაკრავია, შე ბრიყვო, ვირო..

— შენ სინიდისზედ ვინ რას ამბობს.. ჩემი მომეცი და წავალ.. რომ მიყვირი, რას მიყვირი და, შენი ყმა ვარ თუ? ყვირილი ქე მეც ვიცი...

— აბა თუ იცი, წადი იყვირე!.. კირილემ ჰკრა მუშას პანღური და გაგდო გარედ.. წადი იჩივლე, შე...

— შვილო, რა არის, ასეთი გაანჩხლებაც არ ვარგა, სთქვა კირილეს დედამ, ამოიღო ჯიბიდან ფული და გაუტანა მუშას.

— ვერა ჰხედავთ ამ ვირის თავს!.. გზაში დამტანჯა, აქ კი ყვირილიც დამიწყო! მადლობელი იყავი შენის ბედისა, რომ ეს შანდალი არა გდრუზე სულელურ გოგრაში!.. მძვინვარებდა კირილე.

კარგი, გეყოფა, ჩემო კირილე!—ეუბნებოდა დედა—ის მუშა გავისტუმრე... ხომ ხედავ, ბრიყვია გაუთლელი ტეტიაა.. რას აჰყოლიხარ? მიკვირს შენგან, შვილო! დღე და ღამ სულ იმას გაიძახი მუშა, საწყალი მუშაო.. უნდა რამე ვუშველოთ მუშებსო. პირზედ სულ მუშათა ქება გაკერია და აქ კი მუშას კინაღამ ტყავი გააძრე?!

-- დიაღ, დედი, მე მუშათა მოტრფიალე ვარ, მაგრამ... ეე... იმისთანა მუშებისა კი არა... ქარხნის მუშებისა... წაილუღლუღა კირილემ.

— ქარხნისა იქნება იგი თუ სხვისა, მუშა— მუშაა! მე კი ასე მგონია და!.. მაგრამ ყავა მზად არის დავლიოთ, თორემ გაცივდება!.. ჰო, მართლა, შენ რომ წახვედი, თედო მოვიდა აქ და გიკითხა.. შემოვიდა ოთახში და რა დაინახა მაგიდაზედ ქაღალდი, მივარდა და წაიკითხა შენი ლექსი.

— მერე რა სთქვა?

სთქვა, რომ კარგი მწერალი და დიდი მოღვაწე გამოვა შენი კირილეო! ჩინებული აზრების პატრონიაო.. უთხარით ეს ლექსი მალე გაათავოს, მაშინვე გავაქანებთ დასაბეჭდათო.

ღმერთმანი?!

შენ არ მომიკვდე!

ყავის შემდეგ კირილე იჯდა მაგიდასთან.. ბევრი ოფლის ღვრის შემდეგ დასწერა შემდეგი:

მუშა, მუშიკო, მუშაჯან
ვენაცვალე, შენს მარჯვენას,
რომ ელირსები გაძლომას,
თავისუფლებას და ლხენას!

კ. მაყაშვილი.

მთა

ინტელიგენციის სამსჯავროს წინაშე.

—

ქართულ სცენაზე მოხდა არა ჩვეულებრივი მოვლენა: გაასამართლეს ლიტერატურული ტიპი ალ. ყაზბეგის თხზულებიდან „მოძღვარი“. სასამართლომ საბრალმდებლო სკამზე დისვა ამ ნაწარმოების გმირი-ქალი მაყვალა.

მაყვალას საქმის გამოსარკვევად სასამართლომ წამოაყენა ორი კითხვა: 1) შეეძლო თუ არა მაყვალას აეცდინა გათხოვება იმ კაცზე, რომელიც არ უყვარდა და როდესაც მისი სული და გული სხვისკენ მიილტვოდა და 2) შეეძლო თუ არა მაყვალას უარეყო სქესობრივი კავშირი თავისსაყვარელ კაცთან ქმრის ხელში ყოფნის დროს.

მკითხველმა უკვე იცის, რომ სასამართლომ გაარჩია მაყვალას მოქმედების ეს ორივე მხარე, დამნაშავედ ვერა სცნო იგი თავის ყოფა-ქცევაში და სრულად გაამართლა. მერე რატომ მოხდა ეს ასე? ჰქონდა თუ არა სასამართლოს საკმარისი საბუთები და მოტივები, რითიც შესაძლებელი ყოფილიყო მაყვალას გამართლება?

რამდენადაც მე ვაკვირდები და ვფიქრობ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, იმდენად უფრო-და-უფრო ვრწმუნდები, რომ სასამართლო ღრმად შესცდა თავის გადაწყვეტილებაში მთიელი ქალის შესახებ. ვერც ბრალმდებელმა დაანახვა საზოგადოებას მაყვალას სიმართლე ან დანაშაული, თუმცა ბრალი დასდო მას. ვერც ბრალდებულის სიტყვებმა ჰყვეს აშკარა საკამათო საგნის შინაარსი, თუმცა ითხოვეს დამნაშავის სრული გამართლება. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთ, ესენი ხომ არც-კი დაღონდნენ სერიოზულად შეეხედნათ საქმისათვის. დაეთანხმნენ-რა დამცველების აზრს, ორ წამში გადაწყვიტეს იმისთანა სამძიმო საქმე და უდანაშაულოდ სცნეს მაყვალა. ნაფიცმა მსაჯულებმა თითქოს არ იცოდნენ, რომ აქ საქმე კერძო მოვლენაში-კი არა, არამედ ჩვენი მთის მთელ ცხოვრებაშია. მაყვალას გასამართლება ხომ მთიელთა ცხოვრების გასამართლებაა. მაყვალას გამართლება მოასწავებს მთიელთა ცხოვრების უვარგისობას, მის დანაშაულს, მის სიყალბეს.

მართლა-და, დამნაშავეა მთის წეს-წყობილება მაყვალას წინაშე? მართლა-და, შეიცავდა თუ არა მთიელთა მაშინდელი ცხოვრება იმისთანა პირობებს, რომლების წყალობით ქალი უნდა მისულიყო იქამდის, სადამდისაც მივიდა მაყვალა?

მე ვამბობ, რომ არა!

პირველ კითხვაზე,—შეეძლო მაყვალას თემის და ოჯახის ცხოვრების პირობებში შეუღლებოდა საყვარელ კაცს და უარი ეთქვა სხვა გვარ ცოლქმრობაზე,—მე ვიძლევი ამისთანა პასუხს.

მთიელ ქალის ბედ-იღბალი წყდებოდა თემის და ოჯახის შეხედულების კვალად. ქალის ხასიათი, ზნეობა, ჭკუა-გონება, მთელი მისი მსოფლმხედველობა ვითარდებოდა, იზრდებოდა თემის და ოჯახის ცხოვრების ფარგალში. ეს ორი დაწესებულება იყო მთიელთა ცხოვრების მმართველი, მისი ხელმძღვანელი; ოჯახი და თემი იყო მთიელთათვის კანონმდებელი, მსაჯული, გადამწყვეტი სხვა-დასხვა საქმეებისა, თვითვე აღმასრულებელი თავის გადაწყვეტილებისა. როდესაც ასე ვლაპარაკობ თემზე და ოჯახზე, მე იმის თქმა-კი არ მინდა, რომ თემი და ოჯახი თანახმად მოქმედებდა მთიელთა ცხოვრების მართვაში. პირიქით, თემსა და ოჯახის შორის სწარმოებდა ხანგრძლივი, განუწყვეტელი ბრძოლა, ბრძოლა სასიკვდილო და სასიცოცხლო, ბრძოლა თვითარსებობისათვის. მთის ცხოვრებას ჰქონდა ამისთანა მხარეები, როდესაც თემი და ოჯახი ძმურად მოქმედებდა; სხვა-და-სხვა ინტერესის ნიადაგზე თემი ოჯახს და ოჯახი თემს მტრულად უყურებდა. თემსა და ოჯახს მე უყურებ, როგორც ორ უმთავრეს ფაქტორს, რომელთაც შეჰქმნეს მთიელთა ცხოვრება. ამის გამო მაყვალას საქმის გამოსააშკარავებლად საჭიროა გამოირკვეს ადამიანი ამ ორ სოციალურ მოვლენაში: უნდა განიმარტოს ორი ცნება: ცნება თემის შესახებ და ცნება ოჯახის შესახებ. ამასთანავე უნდა აიხსნას, თუ რა დამოკიდულება ჰქონდა ამ ორ მოვლენას ერთმანეთში.

ალბანელი.

(შემდეგი იქნება)

მაშიკო

—

სადილად ისხდნენ.

— მაშიკა! გასძახა კნეინა-დიასახლისმა.

ნიკოსათვის ეს სახელი უცხო იყო, მაგრამ ისე გართული იყო ჭამაში. რომ ყურადღებაც არ მიაქცია.

მაშ როგორ იქნებოდა? დილით უთენია, არ უსაუზმნია ისე წავიდა სანადიროდ და სწორედ სადილობის დროს დაბრუნდა. მთლად შემოირბინა ახლო მდებარე ტყეები, მაგრამ მკვდარიც კი ვერაფერი იპოვნა და მუცელ-გამოცალიერებული ისა და მისი ძაღლი შერცხვენილი სახლში დაბრუნდნენ.

— აალაგე მათლაბები და შემწვარი მოგვართვი! უთხრა კნეინამ და თავისი მათლაფა ხელში მისცა მაშიკოს.

— რა თვალები გაგიშტერდა, ყმაწვილო? გაკვირვებულმა, საყვედურით მიაძახა კნეინამ.

ნიკოს ტუჩების მოსაწმენდათ აღებული ხელსახოცი ხელებში გაშეშებოდა, ლუკმა პირში გაჩხეროდა და პირდაღებული მაშიკოს მისჩერებოდა. კნეინას სიტყვებმა გამოარკვია და მისდა-უნებურად წამოიძახა: „მშვენიერო“!

— რა არის მშვენიერი?

— ჰმ... წვენი... ჩიხირთმა... უცბად მიუგო ნიკომ და ცოტა არ იყოს აირია.

— ჩემო დისწულო, შენ აქ რომანები კი არ გამიმართო. უთხრა ბიძამ და თანაც დინჯად ჩაიხვიხვინა.

— საიდან სადაო, ბიძა ჩემო, აბა რას ლაპარაკობთ?! ნიკო უხერხულ მდგომარეობაში იყო.

— პაყალუსტა, გოგო-ბიჭობა არ გამიმართო აქა... ეჭვ-ნარევი სიფიცხით დაიწყო კნეინამ. „ამ საძაგელ დროს ისედაც ვერა ვშოულობთ მოსამსახურეს.

დიდება შენთვის ღმერთო! რას ჩააცივდნენ? მაშ თვალებს ხომ არ დაიბრმავებს? თუ აგრეა ნიკო ადგება და სასადილოდგან გავა.

მართალია, მაშიკო ლამაზი იყო... ძალიან ლამაზიც, მაგრამ მერე რა? მისი შავი, წყლიანი თვალები ქვასაც დასწვავდა; წითლად დაბრაწული ლოყები, ასეთივე ჩაწუწვნული ტუჩები ანდამანტის ძალით საკოცნელად იზიდავდნენ; ნახშირივით შავი კულულები დია შუბლზედ გადმოჰყროდა... ერთი მათგანი სხვებს გამოჰპაროდა. და გველის კუდივით მოკრაკნილი წარბს ქვევიდან ამოსწოლოდა, სდარაჯობდა თავის აშიკს, მისებრ შავს წამწმებს, თუ უხელთებდა, აკოცებდა... და სწორედ აკოცა მაშინ, როდესაც მაშიკომ პირველად თავი ასწია და ნიკოს შეხედა...

მერე რა ვუყოთ?

ნიკოც... არა უშავდა-რა! მისი ახლად აშლილი შავი წვერ-ულვაში და ასეთივე ხუჭუჭა თმა—თეთრ სახეზედ— ირგვლივ ძაძა-ჩამოფარებულ სავსე მთვარეს მოგაგონებდა ადამიანს... ამ მთვარეზე კიდევ ორი დიდრონი თაფლის ფერი წერტილები... დიდი რამ მომხდარა! განა მაშიკომ ნიკო პირველადა ნახა? ადრეც უნახავს თავის სახლში; მწყერაობიდან დაღლილს გამოუვლია, დაუსვენია, მინოსათვის ხორცი უჭმევია, ბევრიც ულაპარაკნია მაშიკოს მამასთან... თუმცა მაშიკო თავის დღეში თვალით არ დანახვებია ნიკოს; მაშიკოს ჭუჭრუტანიდან მაინც შეუხედნია მისთვის... მოსწონი ყმაწვილი იყო და მოსწონდა კიდეც. ბევრჯელაც უთქვამს მაშიკოს თავის გულში: „ნეტავი მაგის ცოლს, ბედნიერს“...

„საკვირველია, ღმერთანი, რა ნახეს ცუდი ჩემში ამ ადამიანებმა? გოგოს მინდა შევხედო, ვერ გამიბედნია... ათას სისაძაგლეს მწამებენ... ჰფიქრობდა ნიკო.

გათავდა მეორეც. მაშიკო ყოველ წუთში შემოდიოდა და გადიოდა—ნიკოს არც ერთხელ არ გაუხედნია მისკენ. პირიქით, როცა გოგოს დაუძახებდნენ იგი თეფშებში იცქირებოდა და, სანამ არ გავიდოდა, თავს არ ასწევდა.

პირველი შემჩნევის შემდეგ ამაზე ლაპარაკიც-კი გათავდა.

მაგრამ ნიკომ უნდა გაიგოს თუ არა— ვინ არის, ვისი შვილია?

„ეს... ჩვენი სიმონიას შვილია“...

„სიმონიას ამოდენა შვილი როდის ჰყავდა?.. ყველა პატარებია“.

„როგორ არა! პირველი ცოლის ხელში... მოერეც კაი ხანია მოუკვდა და პატარები იმისაგან დარჩა“.

,,რამდენჯერ მივსულვარ სიმონიას სახლში... რატომ არ მინახავს ეს გოგო?.. ალბად ვისმესთან იდგა მოსამსახურედ‘‘?..

,,არავისთან... სად წავიდოდა? მთელი ოჯახი მაგას აწვა კისერზე: მამა, პატარა ბავშვები...

ამათთან კი უნდა ემსახურნა... თავდაუხსნელი გლეხი იყო, ფული მას არა ჰქონდა და ნივთი ბატონისათვის მიეცა... თითონ დამდგარიყო მოჯამაგირედ—მოხუცი რას შესძლებდა... ან მის ყანას ვინ დაიმუშავებდა?..

ისევ არჩია გოგო დააყენოს... მაშიკომ სამი წელიწადი უნდა იმსახუროს, რომ თავი გამოიხსნას მამამ. ეხლა ჩვიდმეტის წლისაა. სამსახურს გაათავებს—ოცისა იქნება და გათხოვდება კიდეც...

ღმერთმანი რა ზნეობა-წამხდარია ზოგიერთი ადამიანი! როგორც თავი მოაგონდებათ ისე ჰგონიათ სხვებიც!.. აგერ ორი თვე გადის—მაშიკოს სადილიც მოაქვს, ვახშამიც, ჩაიც, სუფრასაც ალაგებს, ნიკოს პირს აბანინებს, შაბათობით თავსაც დაბანინებს ხოლმე, მაგრამ აბა ერთხელ მაინც თუ დაუნახავს ვისმეს, რომ ნიკოს მისთვის ცუდის თვალით შეეხედნოს?! მართალია, ზოგჯერ დროს იხელებს და თვალს თვალში ისრივით გაუყრის, მაგრამ ეს არაფერი... თვალებს ხომ არ დაიბრმავებს?!.

რა ვუყოთ რომ ლამაზია?!

განა ნიკოს არ უნახავს ლამაზი ქალწულის სურათი? ან რომელიმე გამოჩენილი მხატვრის დახატული ,,ბუნების შვილი‘‘!.. კი არ გაგიჟებულა! ლამაზი სურათია—სხვა არაფერი!

ამ მშვენიერების ძალას კიდევ გაუძლებდა ადამიანი,

შეურიგდებოდა, შეეჩვეოდა, ეს დაწყევლილი... გამოდგმული მკერდი რომ არ იყოს!.. მერე თითქოს განგებ, ნიკოს გასაჯავრებლად, კნეინამ თავისი ზედა ტანთ-ჩასაცმელი აჩუქა... ვარდის ფერი ბატისთა... ბატისთა ხომ მსუბუქია, თხელი... გარდაფარებია ამ მშვენიერ მკერდს, ყოველ მოძრაობაზე თრთის, ცახცახებს და ძუძუს კოკრები ისე მაცდურად გამოიყურებიან, რომ...

მართლა, არც ასე შეიძლება... ნიკოც ადამიანია, გრძნობა აქვს! შეხედვასაც-კი უშლიან... დაიცადეთ თქვენ უშლით, მაგრამ თქვენი გამოჯავრებული, დროს იხელთებს თუ არა, შეხედავს კიდეც და თვალსაც არ მოაშორებს.

მხოლოდ შეხედავს, სხვა არაფერი... თვალს წყალს ასმევს, გულს ასიამოვნებს, გრძნობას აათამაშებს... ცუდს კი არაფერს იფიქრებს... მაგრამ ფიქრი, ოცნება—ვის შეუზღუდავს, ვის შეუპყრია? ეს და აკლია! იფიქრებს,—არ კი ჩაიდენს... მისი თავი მის ხელთ არ არის?!. ეს საწყალი გოგო რომ არ გააუბედუროს, განა ცოტაა სხვა ქალები—ქმრიანი, გინდ ქვრივები? ნიკოს ისე შესტრფიან, როგორც ვარსკვლავს—ყველა სიამოვნებით გაუარშიყდება... გასათხოვრებს-კი, არა თუ გლეხისა, თავის წოდების ქალებსაც კი ცეცხლივით გაურბის... ჰო, თუ მზითვიანსა და ლამაზს შეხვდება—შეირთავს,—ღარიბია და საცხოვრებელი უნდა... სანამ კარგ ბედს არ შეხვდება—ასე თავისუფლად ივლის. ცხენი კარგი ჰყავს, ნათესაობა მრავალი. მხიარული ყმაწვილია, მონადირე, მომღერალი, მოქეიფე, არშიყი, ლამაზი, მოხდენილი... სხვა რაღაა საჭირო, რომ ქალების გული მოხიბლოს?! მაშ რა ძალა ადგა—ძველი ოჯახი შეარცხვინოს, ბიძას და ძალუას, რომელთაც ასე უყვართ და პატივსა სცემენ—უსიამოვნება მიაყენოს... საწყალი გოგოც ცოცხლივ დამარხოს... ბოლოს ხომ ყველაფერი გამოაშკარავდება... ცოლად ხომ არ შეირთავს?!

ასე ჰფიქრობდა ნიკო, როდესაც მარტო გულ-დამშვიდებული იყო.

—

მაშიკო კი რას ჰფიქრობს? არაფერს! საკვირველია! ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე, მჩქეფარე სისხლი და არაფერს ჰფიქრობდეს!.. შეუძლებელია, თუ იგი ნიკოს მომავალი ცოლის ბედს შენატრის, სადმე კუთხეში დადგება და თვალს არ აშორებს ნიკოს, მაშასადამე რაღაცას უნდა ჰფიქრობდეს, გრძნობდეს...

დიახ, გრძნობს, მაგრამ არ კი ჰფიქრობს, რომ რაღაც არის მის თავს. როდესაც ნიკოს დაინახავს, ან მის სახელს გაიგონებს, გული სიამოვნებით აუფართხალდება ხოლმე... როცა ნიკო შინ არ არის, თვალი ჭიშკრისკენ უჭირავს. და როცა ეზოში ჩამოვა—სახე გაუბრწყინდება, გული ცემას მოუხშირებს და უნდა დაიყვიროს, ათამაშდეს. ლოგინში დაწვება თუ არა, თვალებს დახუჭავს და ნიკოს ხედავს. დილა გათენდება თუ არა, ნიკოს ოთახში გარბის—უნდა პირისაბანი წყალი მიართვას. იცის რომ დილით ადრე დგება და ცივი წყლითაც უყვარს პირის დაბანა. შეჯდება ნიკო ცხენზე და ეზოში მოხდენილად დააჯირითებს—მაშიკო ხეს ამოფარებული, სახე გაბრწყინვებული შესცქერის და თანაც შიშით სული ელევა—არ ჩამოვარდეს. ამას ყველაფერსა გრძნობს, მაგრამ არაფერზე კი არა ჰფიქრობს. მერე რატომ? ეს კითხვა მაშიკოს არასოდეს არ მიუცია თავისთვის.

—

შემოდგომა დადგა.

მადლი ღმერთს! ბიძა თავის ოჯახობით ქალაქში წავა. ნიკოც თავის სახლში წავა. ის ხომ აქ სტუმრად არის. ეხლა კი დაბრუნდება სახლში და ორ თვეს ფეხსაც არ გადადგამს არსად. ამდენი ხნის ნადირობისა და ქეიფის შემდეგ ერთს კარგად გამოიძინებს, დაისვენებს.

მაშიკო? მაშიკოსაც თან წაიყვანს კნეინა. ძალიან კარგსაც იზამს! მაშ აქ ხომ არ დასტოვებს ბიჭებთან ერთად. მართალია, დიდედა და ერთი მოხუცი დედაკაცი აქა რჩებიან, მაგრამ სად შეუძლიანთ თვალი ადევნონ ახალგაზდა გოგოს!..

მაშიკოსაც უხარიან ქალაქში წასვლა. ,,ფაიტონში'' ჩაჯდება... ჯერ არა მჯდარა. იმ დაბაში ბევრი იყო ,,ფაიტონები'', მაგრამ ერთხელაც ვერ ეღირსა შიგ ჯდომას. ერთხელ აღდგომას მისმა ბიძაშვილმა აღუთქვა, ,,ფაიტონს მოგიყვან, ჩაგაჯენ შიგ და გაგაკატავებო'', მაგრამ ის უკუღმართი ისე დამთვრალიყო, რომ თავიც აღარ ახსოვდა. ,,პოვეზი'' ხომ თვალითაც არ უნახავს. ყოველ პარასკევს დადიოდა მამა მისი სიმონა ,,ტანციაში'', მაგრამ არც ერთხელ არ წაიყვანა მაშიკო.

,,სირცხვილია... ძროხა ხომ არა ხარ საპარასკეოზე გაგიყვანოო''...

და როცა მაშიკომ სიტყვა შეუბრუნა მამას: ,,აბა თეკლიე და ძაბუნიე ძროხები ყოფილა, რომ არც-ერთ პარასკეობას არ აკლდებიანო, სიმონიამ დაუყვირა: ,,ძროხებია, ჰო.. და მოზვრებს ეძებენ''! და ისეთის თვალით გადახედა მაშიკოს, რომ კინაღამ ქვესკნელში ჩაძვრა. არც წამოსცდენია მერე პარასკეობაზე წასვლა. პატარა კნიაჟნამ ხომ სულ გააგიჟა, ისე აუწერა ქალაქი... მაგრამ როცა გაიფიქრებდა, რომ ეს სიამოვნება ნიკოს მოაშორებდა—გული შემოჰკვნესებდა ხოლმე.

ალბათ ბედი ყოფილა.

არც ერთის ფიქრი არ ასრულდა.

კნეინა სულ იმას ჩიოდა, როგორ დავტოვო მარტო მოხუცი დიდედა, მოეწყინება, ხმის გამცემი არავინ ეყოლება; წინეთ სულ თანა ჰყავდა ხოლმე, მაგრამ წელს აღარ ისურვა წასვლა: ,,მოვხუცდი, ავადმყოფობა შემომეჩვია, გაწუხებთო''.

ბიძა კი სულ იმას გაიძახოდა: ,,ოჯახი მეღუპება, პატრონი არავინ რჩება; არეულობაა, ვინ იცის, იქნება ვინმემ შურით ცეცხლი წაუკიდოს და დამიბუგოს ამდენი ხნის ნაშრომი...

და იერიში მიიტანეს ნიკოზე:

— „დარჩი აქა, ყმაწვილო... დიდედასაც გაართობ, ოჯახსაც თვალ-ყურს ადევნებ... სულ ერთია შენთვის—გინდ შენს სახლში ყოფილხარ, გინდ აქა. დღესასწაულებზე ჩვენთან ჩამოხვალ ქალაქში... დროს გაატარებ“...

ნიკოსთვის მართლაც სულ ერთი იყო. დარჩა.

მაშიკო? აბა დედა ხომ უმოსამსახუროდ არ დარჩება.

„მაშიკო უნდა დარჩეს და ჩვენ კი იქ ვისმეს დროებით დავიქირავებთ“.

ასეც მოიქცნენ.

წავიდნენ.

ოჯახი დაყრუვდა. აღარ ისმოდა ბავშვების ჟრიამული, არც როიალის ხმა, არც კნეინას ტკბილი სიმღერა.

ოჯახი დაყრუვდა, მაგრამ ორი გული კი მღეროდა. განა ოჯახში რომ მოწყენა იყოს, ნიკოსა და მაშიკოს გულიც დაყრუვდებიან? სულაც არა!

მაშიკო არ წაიყვანეს ქალაქში, მაგრამ არც ძალიან ნაწყენია ამით. იგი ძველებურ სიამოვნებასა გრძნობს. ხშირად ნიკოს სიზმარშიაც ხედავს ხოლმე—ეალერსება, ჰკოცნის, გულში იკრავს... ხოლო როცა გამოეღვიძება—და ვერავისა ხედავს—სწყინს. რატომ სწყინს—რომ არ იცის... დაინახავს თუ არა, თვალები გაუშტერდება და ყურში ვიღაც ჩასჩურჩულებს: „ნეტავი მას, ვინც მაგის მკერდზე დაისვენებს“... რაც დრო მიდის მით უფრო დაჟინებით ჩასძახიან ამ სიტყვებს.

არც ნიკოს მოსწყენია ჯერ: ყანები აულაგებელია—მწყერაობა ჯერ კიდევ შეიძლება, მერე კურდღლებზე ინადირებს.. თუ ცუდი ამინდი დადგა—ნაცნობებში მიდის, ქალებთან არშიყობს, თავს იქცევს, კვირაში ორჯელ სოფიოსთან მიდის... ხანდახან მოხუც დიდედასაც ქაღალდს ეთამაშება.

მაგრამ მაშიკოს ერთი კოცნა ყველაფერ ამას სჯობიან... ერთხელ იმის ტუჩებზე დაკონვა!..

ეხლა ხომ აღარავინ უშლის თავისუფლად შეხედოს!.. დიდედას იმის დარდიც არა აქვს... ვერ გაუგია-კი, როცა მაშიკოს თვალს მოჰკრავს თუ არა—იგი დარცხვენილი თავს ჩაღუნავს და თუ შესაძლებელია—გარბის კიდეც. ნუ თუ ამდენი ხანი ვერ შეეჩვია?! თუ რამეს დასაქმებს, მხოლოდ ერთ სიტყვას წამოიძახებს: „ახლავე ბატონო“ და იმ წუთშივე გარბის. დილით ოთახს ულაგებს, ემსახურება, ტანთ აცმევს, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ამბობს... თუ რასმეს ჰკითხავს—უპასუხებს, თუ არა და სდუმს. თუმცა სამჯერ, თუ ოთხჯერ შეამჩნია ნიკომ, რომ მაშიკო მისჩერებია, მაგრამ რა უყოთ? ეს ხომ არაფრის ნებას არ აძლევს მას. აგერ რამდენი ხანი გავიდა ერთად არიან და ნიკო არც კი გახუმრებია გოგოს. სირცხვილიც არის... არა, ცუდს კი არას ჩაიდენს... ერთხელ ცდის მაინც... მხოლოდ კოცნა... ერთი კოცნა... სხვა?

ღმერთმა დაიფაროს—არაფერი!

—

დილა იყო.

მაშიკო ნიკოს ოთახს ალაგებდა. ნიკოს ფეხის ხმა იცნო... დასწყევლოს ღმერთმა! რა ემართება მაშიკოს გულს? რანაირად ფართხალებს?!. გაიქცეს თუ არა ოთახიდგან?.. ვერა, ვერ მიდის...

ნიკოც შემოვიდა, დაინახა თუ არა, ნიკოს გულმა ორჯერ ძლიერად გაჰკრა. თითონაც მოესმა მისი ხმა; გაიარ-გამოიარა ოთახში, გაჩერდა ერთ კუთხეში და მაშიკოს მიაჩერდა. მაშიკო ზურგ-შექცეული იდგა და ფარისაბანს სწმენდდა... მაშიკოს არაჩვეულებრივად ასწითლებოდა პირისახე... ნიკოს გულმა ერთხელ კიდევ ჩამოჰკრა—მაგრამ ეხლა კი უფრო ძლიერად.

„აი, მოდის... ღმერთო! რა უნდა ვჰქნა?.. წავიდე?.“

რომ არ შეუძლიან! იგი თითქოს მიჰკრობია ერთ ადგილს... ხელებიც აღარ ემორჩილება—ჩვარს სულ ერთსა და იმავე ადგილას უსვამს...

„აი, მოვიდა... გაჩერდა!.. დედავ, ღმერთო, რაღა ვჰქნა ეხლა?..

ამ დროს ნიკოს ცხელი ტუჩები თავის ლოყაზე იგრძნო და ჰაერში რაღაც ხმა გაისმა. მაშიკომ კატასავით თავი ძირს დასწია, სახეზე ხელები მიიფარა და ოთახიდგან გავარდა.

— „მადლობა ღმერთს, დასაწყისი კარგი იყო. სთქვა ნიკომ და ულვაშებზე ხელი გადისვა.

ოთახიდგან გამოქცეული მაშიკო გიჟივით გარბოდა—არ იცოდა საითკენ. სამზარეულო სახლის უკან პატარა ტყე იყო და მხოლოდ იქ შეჩერდა.

მაშიკოს ძალიან უყვარდა ეს ტყე, ნორჩი, ახალგაზდა ლერწმები ერთმანეთს გულში ჩაჰკრობოდნენ და ერთი მეორის ეშხით დათვრალნი მიბნედილის თვალებით შორს სივრცეში გაიყურებოდნენ.

თავისუფალ დროს სულ აქ იჯდა ხოლმე მაშიკო და თავის სიხარულს, თუ კაეშანს ამ უტყვ მეგობართ უზიარებდა. იგი უვლიდა კიდეც ტყეს: გამხმარ შტოებს აცლიდა, ეკლებისაგან ანთავისუფლებდა; პატარა მდინარეს შეაგუბებდა, გადმოუშვებდა ტყეში და მორწყავდა ხოლმე.

ტყესაც უყვარდა იგი და ამ სიყვარულს ღიმილით აგრძნობინებდა: ტყემ იცოდა მაშიკოს მოსვლის დრო და პეპლუც არშიყივით მორთულ-მოკაზმული დაუხვდებოდა; ეშმაკურად თვალს ჩაუკრავდა, მაცდურად გაუღიმებდა; ხან ერთ ლოყაზე ეამბორებოდა, ხან მეორეზე; ხან ერთმანერთთან ხელგადახვეულნი ჯერ ხელ-შეუხებელს მაშიკოს, უმანკო მკერდზე შემოეკვრებოდა და წინ არ უშვებდა, ეთამაშებოდა... თან კისკისებდა, შრიალებდა.. ყურში რაღასაც ჩასჩურჩულებდა... მაშიკოს სიტყვები არ ესმოდა—სიხარულს კი გრძნობდა. მხიარული—ეთამაშებოდა, მოწყენილს გულს ეშვებოდა.

მაშიკომ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, ხარბად შეისუნთქა სუფთა ჰაერი და წაიჩურჩულა:

— ღმერთო, ეს რა იყო?! კოცნა!.. და თითქოს სურდა ეს პირველი კოცნა არსად გაჰქცეოდა, ან დილის ნიავი არ შეხებოდა მას და არ გაეგრილებინა—მსწრაფლ ლოყაზე ხელი მიიფარა და ბედნიერების ღიმილმა სახე უფრო გაუბრწყინა. თვალ დახუჭული, გონებით ნიკოსთან იყო, ყურით-კი ტყის შრიალს ისმენდა.

ტყეს ეჭვი აჩრჩობდა,—ნიავი შურით იბერებოდა... ორი ერთმანერთის მოცილე, მაშიკოზე შეყვარებულნი ეხლა შეერთდნენ: ნიავი ძლიერ ქარად გარდაიქცა, დაჰბერა, გამოაქანა ერთი ლერწამი და მაშიკოს მეორე ლოყაზედ შემოჰკრა.

მაშიკო გამოერკვა და შუბლზედ ხელი გადისვა.

— „სიზმარი იყო, თუ ცხადი“?...

ნეტარების დიმილი გაჭრა. მისა ადგილი სასოწარკვეთილ მრისხანებამ დაიჭირა.

— „არა, ცხადი იყო... სირცხვილი!.. უტბად თავში გაუელვა მაშიკოს და წამოიჯრა. დასტაცა ხელი თავსაფარს და თითქო უნდოდა ტანვი სრულიად მოეგლიჯა—ლოყაზე მოისვა... იგი გაიქცა... მირბოდა გიორგით—თავის სახლში, მამასთან.

სირცხვილით სად გამოჭყოს თავი? რაგორ შეხედოს თვალებში ნიკოს? ხომ ყველა გაიგებს—ქალბატონი, მოსამსახურენი. მთელ ქვეყანაში თავი მოეჭრა.

მაგრამ განა ეხლა უფრო არ გაიგებენ?

მაშიკო შესდგა.

„არ იკითხავენ—რად გამოიქცა მაშიკო სახლიდგან? მერე რა უნდა სთქვას, რითი იმართლოს თავი? თუ სიმართლე სთქვა—ნიკოს ხომ უსაყვედურეს და მისთვისაც სირცხვილია. გამომეორდება.. თუნდა მამას ეტყვის სიმართლეს, მაგრამ სხვებს რა უთხრას? ესეც არ იყოს—რომ არ იმსახურს—ვინდა შეასრულებს ამ მოვალეობას? მამა? მერე ოჯახი, ანა, ბატარა და-ძმები.

ყველაფერმა მაშიკოს ელვასავით გაურბინა თავში. არა, სჯობიან დაბრუნდეს.

მაშიკო უკანა კარებიდგან შეეიდა.

კიდევ კარგი, ქალბატონს არ გაუდვიძნია, თორემ დაუძახებდა—შინ კი არ იყო... რა უნდა ეთქვა?

ნიკო? დმერთო, რაგორ შეხვდეს ნიკოს? სირცხვილით რაგორ შეხედოს თვალებში?

ვალ. შალიკაშვილი.

(დასასრული იქნება)

ქართულ მწერლობის მოკლე მიმოხილვა უძველეს დროიდგან.

დამოუკიდებელი ანუ ოქროს ხანა.

XI

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ.

„ᲕᲔᲤ. ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲑᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

(გაგრძელება)

საერო პირთა მტრობას სამღვდელოების მტრობამ გადააჭარბა. „სამღვდელოებად“ უნდა ვიგულისხმოთ უმაღლესი მისი წარმომადგენლები. კერძოდ მღვდლები-კი, როგორც გადმოგვცემენ, ზეპირადაც სწავლობდნენ „ვეფ. ტყაოსანს“.

დრო იყო ასეთი, საშუალო საუკუნეებში, როგორც ჩვენში, ეგრე ყველგან, სუყველაფერს ეკლესიური, მონასტრული ელფერი ედო. ღვთის მეტყველება, აღმოსავლეთის მამათა ნაწარმოებნი ლექსიკონ-ქადაგებანი მიაჩნდათ მაშინ ყოველივე ზეშთაგონების დაუშრეტელ წყაროდ. თვით პოეტებიც მომეტებულად ბიბლიურს ჰანგზე აეღერებდნენ სიმებს. მაშინ ნამდვილ ქრისტიანულ ცხოვრების იდეალად ბერული ცხოვრება იყო დასახული. როგორც სხვაგან, ჩვენშიაც ამიტომაც ვხედავთ, რომ საქართველოს საუკეთესო ყმაწვილ-კაცობა სულ ბერად მიდიოდა. მეფენი და მრავალი გამოჩენილნი სარდალნიც სტოვებდნენ სამეფო სამსახურს და მიდიოდნენ უდაბნოში. აკი შოთაც—ეს მომღერალი „ქვეყნიურ სიმშვენიერისა“, როგორც მოგვითხრობენ, ბოლოს დროს ბერად აღიკვეცა!

ამისათვის გასაკვირველიც არ არის, რომ მაშინდელმა სამღვდელოების წარმომადგენლებმა, რომლებიც თვის წმინდა მოვალეობად სთვლიდნენ ქრისტიანობის დაცვას ყოველივე გამხრწნელ მოვლენათაგან, საყვირი დაჰკრეს და შოთა და მისი ნაწარმოები ჩასთვალეს „უბოროტეს თესლად“ და „გამრყვნელად ქრისტიანობისა“. მათის რწმენით, საქართველოში, სადაც დაცული იყო უმწიკვლოდ ქრისტიანობა, შოთა რუსთაველის მეოხებით შემოიპარა ის ცრუ ფილოსოფიური სწავლა, რომელიც საბერძნეთში ძველთაგანვე აღორძინდა და რომელიც დღეს საბერძნეთის საეკლესიო და საღვთისმეტყველო სწავლას ზურგს უქცევს (აქ შოთას ნეოპლატონიური შეხედულობა ჰქონდათ სახეში).

ჩვენ შოთა რუსთაველის ბიოგრაფიაში მოვიხსენიეთ, რომ იოანნე კათალიკოსი მისი საშინელი წინააღმდეგი იყო. არსენი ბერი (საქართველოს საეკლესიო ისტორიის მწერალი) აი როგორ აგვიწერს იოანნე კათალიკოსის დამოკიდებულებას „ვეფ. ტყაოსანთან“: „ოდეს გავრცელდა ღვარძლით სავსე წიგნი „ვეფ. ტყაოსანი“, ამის გამო შოთა რუსთაველი არცხვინა იოანნე კათალიკოზმან. მტერმან იუკადრისა. კათალიკოსმან არ მიჰხედნა და ზეგარდამო მაღლის ნიჭითა, სიტყვითა წმინდითა და გონებრივითა სამღრთოითა ძალითა ამხილებდა შოთა რუსთაველს, რათა არ აღმოცენდნენ მიმბაძავნი ლექსისა მის უბოროტესისა და არ დაითესოს და დაიძას თესლი უბოროტესი და გამრყვნელი ქრისტიანობისა ამისა“ [1]). აშკარაა, ამ სიტყვებში გამოხატულია არა მარტო პირადი აზრი იოანნესი, არამედ საზოგადოდ იმათიცა, ვისიც წარმომადგენელი ის იყო.

რომ ასეთი აზრ-შეხედულობა შოთა რუსთაველზე და მის „ვეფ. ტყაოსანზე“ საუკუნოებათა

---

[1]) ჭიჭინაძე ,,შოთა რუსთაველი'', გვ. 46; ხახანაშვილი „Очер.“, გვ. 249.

განმავლობაში არ შეცვლილა, ამის უტყუარი ისტორიული ფაქტები მოგვეპოება. როდესაც ვახტანგ მეფემ—ამ დროს შესაფერად განსწავლულმა პირმა—განიზრახა „ვეფ. ტყაოსნის“ დაბეჭდვა და დააწყებინა კიდეც, ამ განზრახვას წინაალუდგა მისი ძმა—კათალიკოსი დომენტი, რომელიც დაჟინებით ამბობდა „ვეფ. ტყაოსნის“ ბეჭდვა უნდა შეჩერდეს, რადგანაც ის გარყვნის ქრისტიანობას, დასცემს ზნეობას და ეკლესიას წაბილწავსო. მაშინ ისეთი ძლიერი იყო ეს ხმა სამღვდელოების წარმომადგენლისა, რომ ვახტანგი იძულებული გახდა საჯაროდ აღეარებინა, რომ „ვეფ. ტყაოსანი“ „საღმრთოდ აიხსნება“ და ამისათვის მასში ეკლესიის საწინააღმდეგო არაფერიაო. ამ მიზნით ვახტანგმა დასწერა ვრცელი ახსნა და ჩაურთო „ვეფ. ტყაოსანს“ ბოლოში [2]).

მაღალ განსწავლული მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთეც, რომელსაც „მოესმინა კატეღორია, დიალექტიკა, კავშირი პროკლე დიოდოხოსისა, მის ჟამის მეცნიერების წიგნნი და აღმოსავლეთის სიბრძნისა წყარონი—ასეთი პირიც კიცხვით იხსენიებს რუსთაველის ხსოვნას. იერუსალიმში მოგზაურობის დროს, ჯვარის მონასტერში მას უნახავს სურათი შოთა რუსთაველისა. ამის შესახებ აი რას სწერს ის: „გუმბათში ხატია მოხუცებული შოთა რუსთაველი... ეს იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდის წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა“.

ანტონი I კათალიკოსი—ეს საქართველოსთვის თავდადებული მოამაგე—მუშაკი და კაცი ღრმად განათლებული—შოთას სხვა მტრებს არ ჩამორჩენია. ცნობილია, რომ მან ვახტანგ მეფისაგან გამოცემული „ვეფ. ტყაოსანი“ საჯაროდ დასწვა. [3])

ანტონი I-თვის „წყობილ სიტყვაობაში“ თუმცა შოთა რუსთაველს იხსენიებს ბრძნად, ფილოსოფოსად, უცხო და საკვირველ პიიტიკოსად და ღვთის მეტყველად, მაგრამ ამავე დროს დასძენს „მაგრამ ამაოდ დაშურა საწუხარს ესე“. [4])

მოკლედ რომ ვსთქვათ, რუსთაველს და მის ქმნილებას თავიდგანვე მე-XVIII საუკუნის ბოლომდე ბევრი უმეცარი და მეცნიერი მტერი ჰყავდა. ამ მტრებმა და საქართველოში შავ-ბნელ დღეთა და მტერთა გაბატონებამ გულმოდგინედ სდევნეს „ვეფ. ტყაოსანი“, გაქრობაც მოუნდომეს მას, მაგრამ მან რაღაც საკვირველებით ჩვენამდისაც მოაღწია და მისი მშვენიერება „დღესაც გვატკბობს ამერ-იმერთა“ მის გარშემო ატეხილ ქარიშხლის გრგვინვის დროს, „ვეფ. ტყაოსანს“ ჰყავდა ერთი საიმედო და უცვლელი მომხრე—მეგობარი: ერის გული, მისი ჭკუა და მეხსიერება· და სანამ ხალხი სულსა და გულს, ჭკუას და მეხსიერებას არ დაჰკარგავდა, „ვეფ. ტყაოსანიც“ არ გაჰქრებოდა, არ დაიკარგებოდა!

—

ლიტერატურული ისტორია „ვეფ. ტყაოსნისა“.

როგორც წინედაც მოვიხსენიეთ, მე-XII საუკუნეში საქართველო განიცდიდა ორს უმთავრეს კულტურულ ზედ-გავლენას: ბიზანტიურს, სასულიერო სხოლასტიკურს, და აღმოსავლეთის ან ირანულს, ესთეტიურს. მე-XI და მე-XII საუკუნეებში ეს უკანასკნელი გავლენა გაძლიერდა საქართველოში სპარსეთთან დამოკიდებულების წყალობით. სპარსეთის გავლენა ეტყობა ქართულს ფულებსაც, როგორც ეს მტკიცდება ნუმიზმატიკურ ფაქტებიდან-სპარსეთის გავლენა საქართველოზე და ქართულ ლიტერატურის გაფურჩქვნა—აღორძინება თითქმის ერთს დროს მოხდა, ამ დროსვე იწყება საქართველოში განვითარება თავისებური ჰუმანიზმისა (ადამიანობისა). დასაწყისი ამ მიმართულებას დაედო ნეოპლატონიკების ფილოსოფიის ზედ-გავლენით. ოდნად ქართულ გუმანიზმის ზრდა-განვითარებაში მომეტებული მნიშვნელობა ჰქონდა სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობის იდეებს, ვინემ კლასიკურ კულტურის ღრმა შესწავლა-შეთვისებას. [5]) რომანები და მოთხრობები, ნათარგმნი სპარსულიდგან, სჭარბობენ იმ დროინდელ ქართულ საერო ლიტერატურაში. ქართული ფეოდალური ცხოვრება, ქართველთა რაინდული მამაცობა და სიმხნე ნიადაგს უმზადებდნენ ირანულ რომანტიულ და გმირულ მოთხრობებს. [6]) ჩვენი წარსული ისტორია წმინდა რაინდული იყო. ბუმბერაზობა და გოლიათობა, როგორც ამას მოწმობს ჩვენი მატიანეს მოთხრობები, ძალიან მოწონებული იყო იმ დროინდელ საქართველოში. ამიტომაც ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს სპარსულ საგმირო ამბებით გატაცება. რომ ასეთს ამბებს ჩვენში მოწონება ჰქონია, ამას მოწმობს „როსტომიანის“, „ბეჟანიანის“, „ბარამიანის“, „ამირან-დარეჯანიანის“ გავრცელება საქართველოში. [7])

ეს მოთხრობები ფირდუსის „შაჰნამე“ ან ყოსაიჰამზას რომანების კრებულიდგან არიან გადმოღებულნი. [8])

შოთამაც, როგორც თვისი დროის შვილმა, განიცადა ასეთი ზედ-გავლენა. მისი „ვეფ. ტყაოსანი“ ფარულის, სიუჟეტის მხრივ, როგორც სამართლიანად ჰგონიათ ზოგიერთებს, დიდათ არ გან-

---

[2]) მ. ბროსსე კიცხავს ვახტანგ მეფეს, ის სწერს: „ვახტანგისაგან ამ გვარი ახსნის დაწერა მეტის მეტი შეუსაბამოა და არა კანონიერი“.

[3]) აკაკის „კრებული“. 1898 წ., № 6, გვ. 23.

[4]) „წყობ. სიტყ.“, § 802.

[5]) აკად. მარრი „Исторія Грузіи“, 1906 წ., გვ. 32.

[6]) იქვე.

[7]) ი. აბულაძე „ძველი საქ.“, გვ. 79.

[8]) აკად. მარრი „Изъ Книгъ Царевича Баграта. Изв. Ак. Наук., т. X“ (იხ. აბულაძე).

სხვავდება საქართველოში გავრცელებულ სპარსულ რომანებისაგან. მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებს „ვეფ. ტყაოსნის“ ღირსებას და მისი შემქმნელის გენიალობას. წარმოუდგენელი და შეუძლებელიცაა ისეთი ნაწარმოები შეჰქმნას მწერალმა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდეს წარსულთან და ყოველის მხრით უმაგალითო და ორიგინალური იყოს. არ არსებობს არც ერთი ისეთი გენიალური ნაწარმოები, რომლის ლიტერატურული ისტორია არ დაიწერებოდეს და რომელსაც არც ფორმით, არც სიუჟეტით და არც აზრებით არავითარ ნაწარმოებთან კავშირი არ ჰქონდეს. ეს შეუძლებელია. ავიღოთ მაგალითი. ჰომიროსის გენიოსური ნაწარმოებების „ილიადა“ და „ოდისეა“-ს შინაარსი ნასესხებია ბერძნების და ტროელების გმირების შესახებ ძველად არსებობდა სიმღერები ანუ „რაპსოდიები“. ამ სიმღერებს დამღეროდნენ გლახაკები და ბრმები. შემდეგ ეს სიმღერები შეჰკრიბა ბრმა ჰომიროსმა. მაშასადამე ჰომიროსი არ ყოფილა შემქნელი „ილიადა“ და „ოდისეას“ შინაარსისა: მან მხოლოდ ხელოვნურად შეიმუშავა ნასესხი შინაარსი და ცალ-ცალკე, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოარულ სიმღერებიდგან შექმნა ერთი სრული და დამთავრებული ნაწარმოები. [9])

ნამდვილი გენიოსი მწერალი თვისი ნაწარმოებით ჯამს უსვამს ყველა ყოფილ და არსებულ ლიტერატურულ მიმართულებას. „ის, როგორც ამბობს ბ. სიპოვსკი, ჯამია არამც თუ ახალის, არამედ ძველის და თითქმის ხალხური სიტყვების“ [10])

გენიოსი არამც თუ ჯამს უსვამს წარსულ ლიტერატურულ ცხოვრებას,—ის თვის ნაწარმოებში ნიშანს სდებს მომავალ ლიტერატურის შინაარსსაც [11])... ამისათვის, როდესაც ბ. აბულაძე ამტკიცებს თვის გამოკვლევაში, რომ „ბარამიანი“ და „ვეფ. ტყაოსანი“ ორივე ერთის ტიპის ზღაპრული მოთხრობა არისო და მოჰყავს ნიმუშები ფორმის მხრით მათ შორის „საოცარი მზგავსებისა“ და უჩვენებს „ვეფ. ტყაოსნის“ და „ვისრამიანის“ აფორიზმების შორის „ძლიერ მზგავსებას“,—ეს სრულებით არ ამცირებს, როგორც ზოგიერთს ეჩვენებათ, „ვეფ. ტყაოსნის“ მნიშვნელობას.

„ვეფ. ტყაოსნის“ სიდიადე სიუჟეტის და ფორმის ორიგინალობით კი არ განიზომება. პოემაში ძვირფასია არა ფაბულა, არამედ ის აზრები, რომელიც მასშია გამოთქმული მე-XII საუკუნეში, „რომელიც დღესაც, მე-XX საუკუნეში, სავსებით არ არის განხორციელებული და მთელ მოწინავე კაცობრობის იდეალებს წარმოადგენს. პოემაში ძვირფასია „ის შესანიშნავი ფორმა, რომელშიაც ჩამოყალიბებულია შედარებით უბრალო სიუჟეტი [12]). ძვირფასია მისი მსუბუქი, ჰაეროვანი და მკვეთრი ენა“...

უეჭველია, რომ „ვეფ. ტყაოსანი“ თვისი სიუჟეტით წააგავს „ბარამიანს“, გარეგანის ფორმით-კი უახლოვდება „ვისრამიანს“, მაგრამ ვინ ჭკუათა-მყოფი შეადარებს არსებითად ამ უსირცხვილო და უფერულ აღმოსავლეთის ზღაპრულ გმირების აღმწერელ მოთხრობებს „ვეფ. ტყაოსანს“,—ამ, მარრის სიტყვით, „უკვდავ“ ქმნილებას [13]).

იპ. ვართაგავა.

[9]) იხ. მ. სოკოლოვი „Опытъ аналитико-историческаго курса теоріи словесности“, вып. I, გვ. 320.

[10]) ვ. სიპოვსკი „Исторія русс. словесности», Ч. 3, вып. I, გვ. 2.

[11]) იქვე, გვ. 118.

[12]) ბ. ახალ. იხ. „დროება“ 1910 წ.. № 6.

[13]) აკ. მარრი „Ист. Гр.“, გვ. 33.

რედაქტორ-გამომცემელი: **პეტრე სურგულაძე.**

Открыта подписка на 1910 г.

(ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

на двунедѣльный журналъ

„ФИНЛЯНДІЯ“

Выходитъ 10 и 25 числа каждаго мѣсяца.

24 номера въ годъ.

Редакторъ: **А. В. Игельстромъ.**

Издатель: **Д. Д. Протопоповъ**

Задачей журнала „Финляндія“ является освѣщеніе такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и страженіе неправедливыхъ шовинистическихъ нападковъ извѣстной части русской періодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самосостоятельность, многократно подтвержденную россійскими Монархами.

ФИНЛЯНДІЯ кромѣ того даетъ обширный фактическій матеріалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣйствуетъ культурному сближенію русскаго и финландскаго общества.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкою: въ Россіи и Финляндіи на цѣлый годъ 6 руб., полгода 3 руб., три мѣсяца 1 руб. 50 коп.

Отдѣльные номера 25 копѣекъ. (Наложеннымъ платежомъ 35 копѣекъ).

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста), въ книжномъ магазинѣ Р. Эдгрена (Б. Конюшенная 8.., „Наша Жизнь“, М. О. Вольфа, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ столицъ финляндіи и провинціи)